

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქეთევან გურჩიანი

**თურმეობითის მწკრივთა წარმოება სვანურ კილოებში**  
(დიალექტურ მონაცემთა შეპირისპირებითი ანალიზი)

1005

ფილოლოგიის (აკადემიური) დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

ქუთაისი, 2018

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**წინასიტყვაობა** (საკითხის აქტუალობა, მიზანი, ამოცანები)

**შესავალი**

- 0.1. თურმეობითის ფორმათა ისტორიისათვის სალიტერატურო ქართულში
- 0.2. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის სვანურ კილოებში
- 0.3. მწკრივთა სემანტიკური კომპონენტები. ევიდენციალობის კატეგორიისათვის
- 0.4. ზმნის სტრუქტურული ელემენტები
  - 0.4.1. პირის ნიშნები
  - 0.4.2. რიცხვის ნიშნები
  - 0.4.3. ზმნისწინი
  - 0.4.4. ხმოვანი პრეფიქსები
  - 0.4.5. თემის ნიშნები

**თავი I – I თურმეობითი სვანურ კილოებში**

- 1.1. I თურმეობითის წარმოება
- 1.2. I თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება
- 1.3. I თურმეობითის დიალექტური სახესხვაობები (სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით)

**თავი II – II თურმეობითი სვანურ კილოებში**

- 2.1. II თურმეობითის წარმოება
- 2.2. II თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება
- 2.3. II თურმეობითის დიალექტური სახესხვაობები (სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით)

**თავი III – III თურმეობითი სვანურ კილოებში**

- 3.1. ზოგადი დახასიათება
- 3.2. III თურმეობითის წარმოება
- 3.3. III თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება
- 3.4. III თურმეობითის დიალექტური სახესხვაობები (სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით)

**თავი IV – IV თურმეობითი სვანურ კილოებში**

- 4.1. IV თურმეობითის წარმოება

4.2. IV თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება

4.3. IV თურმეობითის დიალექტური სახესხვაობები (სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით)

ძირითადი დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურა

## წინასიტყვა

თემის აქტუალობა. ქართველური ენობრივი სამყარო უნიკალურია, რამდენადაც მსოფლიოში არ არსებობს ენა, რომელსაც ჰქონდეს 16-საუკუნოვანი უწყვეტი სამწიგნობრო ტრადიციაც და დიალექტების სახით არსებული მრავალფეროვანი ქვესისტემებიც. ქართველური დიალექტების მრავალფეროვნებას

განსაზღვრავს მრავალეთნიკური კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ქართველების ინტენსიური სამეზობლო კონტაქტები. განაპირა კუთხეებში მცხოვრები ქართველების ზეპირ მეტყველებაში ასახულია არა მხოლოდ საერთოქართველურიდან მომდინარე არქაული მოვლენები, არამედ ადსტრატული პროცესებით წარმოქმნილი ბევრი საინტერესო მოვლენა. ამ მხრივ კვლევის საინტერესო პერსპექტივებს ქმნის ამიერკავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ქართველების - სვანების - სამეტყველო კოდების შესწავლა. ცნობილი ფაქტია, რომ სვანეთში წარმართული შელოცვების ენაც და ქრისტიანული ღვთისმსახურების ენაც ოდითგანვე, მრავალი საუკუნის მანძილზე იყო და დღესაც არის ქართული სამწიგნობრო ენა, რომელიც მომდინარეობს საერთოქართველური ფუძეებიდან და არა - რომელიმე ქართული კილოდან (საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005); შესაბამისად, სვანთა დედაენა და კულტურის ენაა ქართული ენა. საშინაო სიტუაციებში, როგორც ყველა სხვა ქართველი, სვანიც იყენებს კუთხურ მეტყველებას, რომელიც არის საერთოქართველური ენის ტრანსფორმირებული ვარიანტი გარკვეული ადსტრატული მინარევებით. სვანური მეტყველება დღეს რეალიზებულია ოთხი ძირითადი დიალექტის სახით: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური. მკვლევართა ნაწილი გამოყოფს მეხუთე კილოს - ჩოლურულს. რამდენადაც ზმნა არის იბერიულ-კავკასიური ენების ხერხემალი, საინტერესოა, **სვანური ზმნის თავისებურებების დიასისტემური აღწერა, რომ საფუძველი მომზადდეს უფრო სიღრმისეული კვლევებისათვის.**

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სვანური ზმნის სტრუქტურის შესახებ არაერთი საინტერესო გამოკვლევა არსებობს, სადაც გაშუქებულია სვანური ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. თურმეობითის მწკრივები სვანურ კილოებში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამდენად, საინტერესოა აღნიშნულ ზმნურ ფორმათა წარმოებისა და ფუნქციონირების კვლევა ცალკეული კილოების მონაცემთა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია ქართველური ზმნის პარადიგმაში თურმეობითების სახელით ცნობილი მწკრივების დიასისტემური ანალიზი; შესაბამისად, ნაშრომში მიზნად დავისახეთ ოთხივე სვანური კილოს მონაცემების გათვალისწინებით პირველი

თურმეობითის, მეორე თურმეობითის, მესამე თურმეობითისა და მეოთხე თურმეობითის ფორმების ფორმოზირი და ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შესასრულებელი ამოცანები: სვანური ზმნის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება ცალკეულ საკითხებზე (ტერმინოლოგია, ყალიბების წარმოება, ზმნის სტრუქტურული ელემენტები, ევიდენციალობის კატეგორია...); ცალ-ცალკე თავებში წარმოდგენილია თურმეობითის სახელწოდების ოთხი მწკრივის წარმოება და ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება ცალკეული კილოების (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშური, ლენტეხური) მონაცემთა მიხედვით. ნაჩვენებია, ერთი მხრივ, სვანურ კილოებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება, ხოლო, მეორე მხრივ, სვანური კილოების მიმართება ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ქვესისტემებთან, აღნიშნულია საერთოქართული კანონზომიერებები და სპეციფიკური ნიშნები. აღწერილია დასახელებულ მწკრივებში უღლების თავისებურებანი სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დამუშავდა შესაბამისი ემპირიული მასალა: როგორც გამოქვეყნებული სვანური ტექსტები, ასევე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრში) დაცული სვანური ტექსტები. გარდა ამისა, კვლევისას გათვალისწინებულია ახალი დიალექტური მასალა, რომელიც ჩვენ მიერ საველე პირობებშია ჩაწერილი 2012-2015 წლებში.

**კვლევის მეთოდები.** ნაშრომში გამოყენებულია ველზე მუშაობისა და ემპირიული მასალის სტატისტიკური, სისტემური აღწერის მეთოდი, აგრეთვე შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს როგორც საკუთრივ სვანური მეტყველების გრამატიკული სტრუქტურისა და ზმნური პარადიგმების, ასევე, ქართველური ენობრივი სამყაროს შესწავლის საქმეში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების, ასევე სვანური კილოების პრაქტიკული კურსისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება წინასიტყვის, შესავლის, ოთხი თავის, ძირითადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

**წინასიტყვაში** წარმოდგენილია საკითხის აქტუალობა, სიახლე, მიზანი, ამოცანები, კვლევის მეთოდები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის ზოგადი სტრუქტურა.

**შესავალი** შედგება 4 პარაგრაფისაგან. ცალ-ცალკე გაანალიზებულია კვლევასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები. კერძოდ:

პირველ პარაგრაფში მოცემულია თურმეობითის ფორმათა ისტორია სალიტერატურო ქართულში. განხილულია საანალიზო ფორმათა ტერმინოლოგიის საკითხი ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით.

მეორე პარაგრაფი ეთმობა საკითხის შესწავლის ისტორიას სვანურ კილოებში. ზოგადად მიმოხილულია ზმნის ფორმაწარმოების საკითხების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, წარმოჩენილია როგორც უცხოელი, ისე ქართველი მკვლევრების დამსახურება საკითხის შესწავლის კუთხით.

მესამე პარაგრაფში დახასიათებულია მწკრივთა სემანტიკური კომპონენტები. ვრცლად გაანალიზებულია ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ზოგადად და სვანურ კილოებში.

მეოთხე პარაგრაფი გაანალიზებულია ზმნის სტრუქტურული ელემენტები: პირის ნიშნები, რიცხვის ნიშნები, ზმნისწინი, ხმოვანი პრეფიქსები, თემის ნიშნები. ნაჩვენებია მიმართება, ერთი მხრივ, სვანურ კილოებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ქვესისტემებთან.

**პირველი თავი** შეეხება I თურმეობითის ფორმათა დახასიათებას სვანურ კილოებში. შედგება სამი ქვეთავისაგან. პირველ ქვეთავში განხილულია I თურმეობითის წარმოება სვანურ კილოებში (ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, ლენტეხურში, ლაშხურში). წარმოჩენილია ეცერული კილოკავის თავისებურებები; ნაჩვენებია სხვადასხვა კილოებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება. ამასთან, სვანურ კილოთა მონაცემები შედარებულია ქართულთან და სხვა ქართველურ ქვესისტემებთან; მეორე ქვეთავში მოცემულია I თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება, საილუსტრაციო მასალა მოხმობილია როგორც გამოქვეყნებული ტექსტებიდან, ისე თანამედროვე მეტყველებიდან; მესამე ქვეთავში წარმოდგენილია I თურმეობითის ფორმათა დიალექტური სახესხვაობები (სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით).

მეორე თავში პირველი თავის ანალოგიური პრინციპით შესწავლილია II თურმეობითის ფორმათა წარმოებისა და ფუნქცია-სემანტიკის საკითხები სვანურ კილოებში. აქაც სამი ქვეთავი გამოიყოფა.

მესამე თავი ეძღვნება III თურმეობითის ფორმოზ-სემანტიკურ ანალიზს სვანურ კილოებში. გამოყოფილია ოთხი ქვეთავი. პირველი ქვეთავი ეძღვნება III სერიის გამოყოფის ისტორიას, ზოგად მიმოხილვას. მომდევნო ქვეთავები წინა თავების ანალოგიურად არის გამოყოფილი და საკითხებიც შესაბამისად გაანალიზებული.

მეოთხე თავში განხილულია IV თურმეობითის წარმოებისა და ფუნქციონირების საკითხების სვანურ კილოებში. მოცემული თავიც სამ ქვეთავს მოიცავს, სადაც დაწვრილებით მიმოხილულია: IV თურმეობითის წარმოება, IV თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება, IV თურმეობითის დიალექტური სახესხვაობები (სხვადასხვა ყალიბის ზმნების ყველა პირის ფორმების დამოწმებით).

**ძირითად დასკვნებში** წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

სადოქტორო ნაშრომს თან ერთვის **გამოყენებული ლიტერატურის** ნუსხა.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### 1. თურმეობითის ფორმათა შესწავლის ისტორიისათვის სალიტერატურო ქართულში

სალიტერატურო ქართულში თურმეობითის სახელწოდების ორი მწკრივია ცნობილი: I თურმეობითი და II თურმეობითი, რომლებიც III სერიაში შედის.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები გვიანდელი წარმოშობისაა: საფუძვლად უდევს სტატიკური ზმნის აწმყოს ფორმები (ჩიქობავა 1948; შანიძე 1953...). ასეა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე ქართველურ კილოებში.

ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმების სერიებად დაყოფა ნიკო მარის სახელს უკავშირდება. მან პირველმა დააჯგუფა ერთნაირი წარმოების ფორმები,

რის შედეგადაც გამოყო სამი ჯგუფი. მანამდე არსებულ გრამატიკებში ზმნის ფორმები ჯგუფდებოდა ფუნქციის მიხედვით, რაც მეტისმეტად ართულებდა უღლების სისტემაში გარკვევას.

მესამე სერიაში შემავალი თურმეობითის ფორმები/მწკრივები სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება ძველ გრამატიკებში.

ზურაბ შანშოვანის ქართულ გრამატიკაში მარადის სრული (პირველი თურმეობითი) და ზესრული (მეორე თურმეობითი) შეტანილია სამოდვრო (თხრობით) კილოში, როგორც წარსული დროის აღმნიშვნელი ფორმები. ტერმინები „მარადის სრული“ და „ზესრული“ ამ ფორმათა ფუნქციაზე მიუთითებენ: გამოხატავენ სრულ, დამთავრებულ მოქმედებას.

ანტონ პირველის „ქართულ ღრამატიკაში“, განსხვავებით ზ. შანშოვანის გრამატიკისგან, მოცემულია ზმნის ფორმათა ვრცელი ანალიზი. ავტორის აზრით, დრო სამი აქვს ზმნას: აწმყო, ნამყო და მყოობადი. თავის მხრივ, ნამყო დროში ოთხგვარ ფორმას გამოყოფს: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უუსრულესი. ნამყო უსრულესი პირველი თურმეობითია, ნამყო უუსრულესი – მეორე თურმეობითი. ანტონი ნამყო უსრულესის მაწარმოებლებად ასახელებს: -ია, -იეს, -ამს, -ვარ აფიქსებს. ავტორს შეუტანია როგორც ძველი, ასევე ახალი, დიალექტური ფორმები. ამის გამო ზმნები წარმოდგენილია პარალელური ფორმებით. შემიკვრია\\შემიკრვიეს\\შემიკრავს. ნამყო უუსრულესი იწარმოება ნამყო უსრულესისაგან -ა ან -ი ნიშნების დართვით (შემეკრა).

ვნებითის ფორმათა საწარმოებლად ნამყო უსრულესში გამოყენებულია ნამყოს მიმღეობა და მეშველი ზმნა აწმყოს ფორმით (შეყვარებულ ვარ, ხარ, არს), ნამყო უუსრულესში კი - ნამყოს მიმღეობა და მეშველი ზმნა ნამყო სრულში (შეყვარებულ ვიყავ).

ზმნის ფორმათა დაჯგუფების ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია მათი ფუნქცია. ამის მიხედვით გამოყოფილია ზმნის ოთხი კილო (სქესი): საზღვრებითი, საწადისი, ბრძანებითი, პირობითი. საზღვრებით (თხრობით) კილოს ყველა დრო მოეპოვება. მათ შორისაა ნამყო უსრულესი და ნამყო უუსრულესი. განსახილველი მწკრივები ნამყო უსრულესი (ვაშათუ შემეკრავს) და ნამყო უუსრულესი (ვაშათუ შემეკრა) კავშირებით კილოში აღმოჩნდა.

ანტონ კათალიკოსი განასხვავებს, ერთი მხრით, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების და, მეორე მხრით, გარდაუვალი ერთპირიანი და გარდაუვალი ზმნების წარმოების თავისებურებებს თურმეობითში.

ზმნურ ფორმათა წარმოების მხრივ ანტონ პირველის გრამატიკას მისდევს გაიოზ რექტორის „ქართული ღრამატიკა“. აქაც საზღვრებით (თხრობით) კილოში შეტანილია ნამყო უსრულესი (მიქიეს) და ნამყოი უუსრულესი (მექო).

ანტონ კათალიკოსის გრამატიკას იმეორებენ უმთავრესად შემდგომი პერიოდის გრამატიკებიც (დავით ბაგრატიონის, ვარლამ არქიეპისკოპოსის, იოანე ბატონიშვილის და სხვათა). დასახელებული ავტორები დრო-კილოთა დახასიათებისას იცავენ ტრადიციულ წესებსა და ტერმინებს.

განსხვავებული ტერმინები გვხვდება პლ. იოსელიანის გრამატიკაში. ავტორი საზღვრებით (თხრობით) კილოში სხვა ფორმებთან ერთად ასახელებს ქმნილ უსრულესს (პირველ თურმეობითს), რომელიც „აჩუნებს მოქმედებასა და ვნებასა ადრევე შესრულებულსა (დამიწერიეს)“. სათუვო (კავშირებით) კილოში გამეორებულია იგივე ფორმები, რაც თხრობითშია ჩამოთვლილი: ქმნადი უსრული – მეწერა, ქმნადი სრული - დამეწერა.

დიმიტრი ყიფიანის ქართულ გრამატიკაში ჩვენებითი (თხრობითი), პირობითი, ნატვრითი ანუ საწადისი კილოებისათვის გამოყოფილია 20 დრო (მწკრივი) (გარჩეულია ზმნის სრული და უსრული სახე). თხრობით კილოში (ჩვენებით დახრაში) დასახელებულია დრო გავლილი - ბერძ. აორისტი (მიკეთებია) და დრო გავლილი აორისტი გათავებული (გამიკეთებია); პირობით კილოში შეტანილია დრო გავლილი უსრული (მეკეთებინა) და დრო გავლილი სრული (გამეკეთებინა). როგორც ჩანს, ავტორს ერთი ტერმინი აქვს ნახმარი ორივე დროისათვის - „დრო გავლილი“, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ „დრო გავლილი“ ჩვეულებრივ ნამყოს მნიშვნელობისაა. სამივე მწკრივი მნიშვნელობით ნამყოა, ამდენად, სახელწოდებაც საერთო აქვთ.

დავით ჩუბინაშვილი თავის „ქართულ ღრამატიკაში“ ვრცლად ახასიათებს დრო-კილოთა ფორმებს. საზღვრებით კილოში დასახელებულია ხუთი დრო: აწმდგომი, ქმნილი უსრული, ქმნილი სრული (წყვეტილი), ქმნილი უუსრულესი (პირველი თურმეობით) და ქმნადი. იგივე ტერმინები გვაქვს პირობით კილოშიც, სადაც ქმნილი სრული მეორე თურმეობითის ტოლია. ავტორი საგანგებოდ ეხება

მწკრივთა წარმოებასაც: ქმნილი უუსრულები (პირველი თურმეობითი) იწარმოება აწმდგომისაგან (აწმყოსაგან) - -ია, -იე-ს დართვით (მიჭერია ან მიჭერეის), ქმნილი სრული (მეორე თურმეობითი: მეწერა) და ქმნილი უუსრულები (მესამე კავშირებითი) ქმნილი სრულისგან.

თედო ჟორდანას გრამატიკაში იგივე ტერმინები - „ნამყო უსრულები“ და „ნამყო უუსრულები“ გვხვდება. ნამყო უუსრულების ფუნქციური დახასიათებისას საგანგებოდაა მითითებული, რომ ის უწინარეს მოქმედებას აღნიშნავს. ავტორი ნაწილობრივ ეხება მწკრივთა წარმოებასაც: ნამყო ისტორიული იწარმოება აწმყო დროისგან „მიმატებით წინა ნაკვეთისა მი: სვამს - მისვამს: ხოლო ნამყო სრულისგან მიიღება ნამყო უუსრულები, ანუ წინარე წარსული: თხარა-მეთხარა.

ძირითადად ამგვარად არის დახასიათებული ზმნის დროთა ფორმები და ჩვენთვის საინტერესო მწკრივები განხილულ გრამატიკებში. აქ ფორმათა დაჯგუფებისათვის ამოსავალია ფუნქცია და არა წარმოება. ამიტომაც ზმნის ერთსა და იმავე ფორმას როგორც სხვადასხვა, ისე ცალკეული გრამატიკების მიხედვით, ხან თხრობით კილოში ვხვდებით და ხან პირობით-ნატვრითში.

ნიკო მარმა შრომაში - „ძირითადი ტაბულები ძველი ქართული ენის გრამატიკისა“ - პირველად დააჯგუფა დრო-კილოთა ფორმები სერიებად, რასაც საფუძვლად დაედო საწარმოებელ ფუძეთა სხვაობა. ავტორი მესამე ჯგუფის ფორმებისათვის იყენებს ტრადიციულ ტერმინებს: „ნამყო სრული“, „ნამყო წინარეწარსული“ და „ნამყო კავშირებითი“.

ნ. მარის მიერ მოცემულ მწკრივთა დაჯგუფებიდან ჩანს, რომ დროთა პირველი და მეორე ჯგუფისათვის ამოსავალი პრინციპია საწარმოებელ ფუძეთა ერთიანობა (თემის ნიშნის მქონეობა ან უქონლობა); მესამე ჯგუფი ამ პრინციპს მოკლებულია. მესამე სერიაში მთავარია წარმოების ერთიანობა: კერძოდ, გარდამავალ ზმნათა დაჯგუფების საფუძველია ინვერსია, წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია, ხოლო გარდაუვალ ზმნათათვის - მეშველზმნიანი წარმოება. ეს უკანასკნელი პრინციპი მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ორპირიან გარდაუვალ ზმნებს, რომლებსაც საანალიზო კონსტრუქციაში ახასიათებთ როგორც აღწერითი, ისე ორგანული წარმოება.

მართალია, ნ. მარის ტაბულებში ახლებურად დაჯგუფდა დრო-კილოთა ფორმები და მესამე სერიის მწკრივები ცალკე გამოიყო, მაგრამ მომდევნო

გრამატიკები მაინც იცავენ ზმნის დროთა ტრადიციულ დაყოფასა და ტერმინოლოგიას.

მესამე სერიის მწკრივები ვრცლად და თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი აკაკი შანიძის ქართულ გრამატიკაში. აქ ზმნის კატეგორიები (დრო, კილო...) ცალ-ცალკეა გაანალიზებული. ავტორი თხრობითი კილოს ნამყოფორმებს ყოფს ორ ჯგუფად: ნახულისა და უნახავის ჯგუფებად. უნახავის ჯგუფში დასახელებულია I თურმეობითი და II თურმეობითი. აქვეა განმარტებული, რომ I თურმეობითი ის ნამყოფა, რომელიც გადმოგვცემს, რომ შედეგი აწმყოში ჩანს. დასკვნა წარსულში მომხდარი ამბის შესახებ საუბრის მომენტშია გაკეთებული იმ კვალის მიხედვით, რომელიც წარსულში მომხდარ ამბავს დაუტოვებია (დაჰკარგვია). ხოლო II თურმეობითი ის ნამყოფ დროა, რომელიც გადმოგვცემს, რომ წინათ მომხდარი ამბის შედეგი წარსულშივე ჩანდა, მაგრამ არ ვიცით, თუ როგორია მდგომარეობა საუბრის მომენტში.

დრო-კილოთა სამი ჯგუფი სამ სერიადაა წარმოდგენილი. მესამე სერიაშია შეტანილი I და II თურმეობითები (აგრეთვე მესამე კავშირებითი).

ტერმინი თურმეობითი აკ. შანიძემ შემოიტანა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. თურმეობითი მომდინარეობს მწკრივის ფუნქციისაგან (მიუთითებს უნახავ მოქმედებაზე), მაგრამ აშკარაა, რომ ეს მწკრივები ყოველთვის არ გამოხატავენ უნახაობას და ასეთ შემთხვევაში ტერმინი მწკრივის შინაარსს არ შეეფერება. ძნელია აბსოლუტურად ზუსტი ტერმინების შექმნა, რასაც ცხადყოფს საანალიზო მწკრივთა აღმნიშვნელი ტერმინების მრავალფეროვნება.

როგორც აღვნიშნეთ, I თურმეობითისა და II თურმეობითის აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში პარალელურად სხვადასხვა ტერმინი იხმარება: კერძოდ:

I თურმეობითი გადმოიცემა შემდეგი ტერმინებით: მარადის სრული (ზ. შანშოვანი), ნამყოფ უსრულესი (ანტონ I, გაიოზი, იოანე ბატონიშვილი, კ. დოდაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი), ქმნილი უსრულესი (პლ. იოსელიანი), დრო გავლილი აორისტი (დიმ. ყიფიანი), ქმნილი უუსრულესი (დ. ჩუბინაშვილი), ნამყოფ უუსრულესი, ანუ დრო ისტორიული (თ. ჯორდანიას), ნამყოფ მრავალგზისი (მ. ჯანაშვილი), ნამყოფ I (ს. ხუნდაძე), ნამყოფ სრული (ნ. მარი), ნამყოფ რელატიური

(ი. ნიკოლაიშვილი), საზღვრებული წარსული (დ. კარიჭაშვილი), ნამყო წარსული (ვ. თოფურია), პირველი თურმეობითი (ა. შანიძე), პირველი შედეგობითი (ბ.ჯორბენაძე).

II თურმეობითის პარალელურად გამოიყენება ტერმინები: ზესრული (ზ.შანშოვანი), ნამყო უუსრულესი (ანტონ I, გაიოზი, იოანე ბატონიშვილი, ს.დოდაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი), ქმნადი უსრულესი და სრული (დიმ. ყიფიანი), ქმნილი სრული (დ. ჩუბინაშვილი), წინარეწარსული ანუ ნამყო უუსრულესი (თ.ჟორდანიას), ნამყო ოდინდელი (მ. ჯანაშვილი), ნამყო I (ს.ხუნდაძე), ნამყო წინარეწარსული (ნ. მარი, ი. ნიკოლაიშვილი, ვ. თოფურია), მეორე თურმეობითი (ა. შანიძე), მეორე შედეგობითი (ბ. ჯორბენაძე).

მიუხედავად ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებისა, დღეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საანალიზო ფორმათა აღსანიშნავად დამკვიდრებულია: **თურმეობითი** და **შედეგობითი**. ჩვენ ნაშრომში ვიყენებთ ყველაზე გავრცელებულ ტერმინს **თურმეობითი**.

## 2. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის სვანურ კილოებში

სვანურის კილოების შესახებ პირველი ნაშრომები უცხოელმა მეცნიერებმა წარმოადგინეს, რაც უმთავრესად დიალექტურ ტექსტებსა და ლექსიკური მასალას მოიცავდა.

სვანურის პირველი გრამატიკული მიმოხილვა (მეგრულ-ჭანურთან ერთად) მოცემულია გეორგ როზენის შრომაში *Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische* (1847: 57-70). მასში ლაშხური კილოს მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია ზმნის უღლების არსებითი საკითხები.

გ. როზენის მასალას ეყდნობა შემდგომი პერიოდის გამოკვლევები: ფ. ბოპი (*Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstamms*, 1847), ფრ. მიულერი (*Grundriss der Sprachwissenschaft*, III, 1884: 208-209), აგრეთვე ალ. ცაგარელი (*Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков*, 1872).

ალექსანდრე ცაგარელი ცალკეულ საკითხებზე გ. როზენისეულ შეხედულებებს იზიარებს. ავტორის მიხედვით, იბერიულ ზმნაში შეიძლება გამოიყოს: ფუძე, შემაერთებელი ხმოვანი, ფლექსიები, ზმნური დაბოლოება, რიცხვის, პირისა და დროის ნიშნები. ა.ცაგარელი გამოკვლევაში ეხება გარკვეული ზმნური ფორმების (აწმყოს, ნამყო უსრულის, ნამყო სრულის, ნამყო წინარეწარსულისა და მყოფადის) წარმოებას.

**პეტრე უსლარს** ეკუთვნის შრომები: „Грамматический очерк сванетского языка“ - იფარული მეტყველების (ბალსზემოური კილოს) მასალაზე დაყრდნობით; „მოკლე გრამატიკა სვანური ენისა“, რომელიც 1961 წელს დაიწერა, ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა აფხაზური ენის შესახებ მისი მონოგრაფიის დამატების სახით.

მე-19 ს. ბოლოსა და მე-20 ს. დასაწყისში იზრდება ინტერესი სვანურის შესწავლისა. 1890 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ჟურნალში “Сборник материалов для описания местностей и племен кавказа” გამოქვეყნდა სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები, ჩაწერილი და რუსულად თარგმნილი ბ. ნიჟარაძის მიერ. აღნიშნულ ტექსტებს ახლავს სვანურის მიმოხილვა, დაწერილი მ. ზავადსკის მიერ. ამავე ტომში დაბეჭდილია ა. გრენის Грамматический заметки („გრამატიკული შენიშვნები“) თავის მიერვე შეკრებილ სვანურ ტექსტებზე. მოკლე გრამატიკული ანალიზია მოცემული. ეს ნაშრომი ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მასში პირველად იხსენიება ჩოლურული.

„მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“ (1911) ეკუთვნის თავისუფალ სვანს - **ბესარიონ ნიჟარაძეს** (1852-1919). აღნიშნული ნაშრომი ცალკე ბროშურის სახით გამოიცა 2013 წელს. მასში მოკლედ არის გაანალიზებული სვანური გრამატიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. „მისი მნიშვნელობა ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში განუზომელია: ესაა პირველი ნაშრომი, სვანური ენის გრამატიკის საკითხებზე დაწერილი, ქართულ ენაზე...“ (ჭუმბურიძე 2013: 3).

სვანურის გრამატიკის ცალკეული საკითხები სხვა კავკასიურ ენებთან მიმართებით განხილული აქვთ რ. ერკერტს, ა. დირს.

პირველ ეტაპზე სვანური კილოების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები ზოგადი ხასიათისა იყო და ძირითადად სვანური მეტყველების ნიმუშების შეკრებასა და ლექსიკური მასალის კვლევას მოიცავდა. ვარლამ თოფურია სწორად შენიშნავდა:

„სვანური დიალექტებიდან ყველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უშგულურს, ნაკლებად - ლაშხურს, ბალსზემოურს, იშვიათად - ბალქვემოურსა და ჩოლურულს. სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექტად ლენტეხური. ესა თუ ის დიალექტი გამოცხადებული იყო მთელ სვანურ ენად. დავსძენთ, რომ არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილებელი არ არის” (თოფურია 2002: 151).

სვანური კილოების მეცნიერული შესწავლა ნიკო მარის სახელს უკავშირდება. მან პირველმა დაადგინა სვანური კილოებისა და კილოკავ-თქმების რაოდენობა, მათი დაყოფის საფუძველი (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში....). გამოყო ოთხი კილო: ზემო-ინგურული, ქვემო-ინგურული, ზემო-ლაშხური და ქვემო-ლაშხური (მარი 1913: 15-16).

მოგვიანებით აკაკი შანიძემ დააზუსტა სვანურ დიალექტთა დაყოფის საფუძველი, კილოთა სახელწოდებები: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური (შანიძე 1981: 321-322). მკვლევარმა დაადგინა ფონეტიკურ კანონზომიერებათა ძალა და მნიშვნელობა სვანურ კილოთა მორფოლოგიურ სტრუქტურაში.

სვანურის შესწავლის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობისაა ვარლამ თოფურიას ფუნდამენტური ნაშრომი „სვანური ენა. 1. ზმნა” (1931), სადაც სვანური კილოების ზმნური პარადიგმა მონოგრაფიულად არის შესწავლილი. მკვლევარმა გააანალიზა სვანური კილოების ზმნური კატეგორიები, ზმნის მორფოლოგიური ელემენტები, უღვლილების სისტემა. გამოყო დროთა სამი ჯგუფი:

I. აწმყო, ნამყოუსრული, კონიუნქტივი I, მყოფადუსრული, პირობითი, თურმეობითი I და II. მყოფადსრული, პირობითი.

II. აორისტი, კონიუნქტივი II.

III. ნამყოსრული, ნამყო წინარეწარსული და კონიუნქტივი III (თოფურია 1967: 71).

ამდენად, ვ. თოფურია სვანურში სულ 14 მწკრივს გამოყოფს.

ვ. თოფურიას კლასიფიკაციაში თურმეობითის სახელწოდების ორი მწკრივია გამოყოფილი: თურმეობითი I და თურმეობითი II, რომლებიც დრო-კილოთა პირველ სერიაშია განთავსებული. III სერიაში შემავალ „თურმეობითის” ფორმებს კი ნამყოსრულსა და ნამყო წინარეწარსულს უწოდებს. მკვლევარი დაწვრილებით

მსჯელობს თითოეული მწკრივის წარმოების თავისებურებებზე დიალექტთა მონაცემების მიხედვით.

ვ. თოფურიას დასკვნა სრულიად გასაზიარებელია ჩვენთვისაც: „სვანური უღვლილების სისტემა ქართველურია. ზმნას იგივე კატეგორიები მოეპოვება, რაც ქართულსა და ზანურს. ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ რთულია, მაგრამ სვანურისა – განსაკუთრებით. მას მეტი აქვს ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები, თურმეობითი 1 და თურმეობითი 2, მყოფადი უსრული და სხვ. ეს ბადებს საკითხთა წყებას მათი გენეზისისა და პირველადობის შესახებ” (თოფურია 2002: 175).

1953 წელს გამოქვეყნდა გიორგი როგავას საყურადღებო ნაშრომი „დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში“. მკვლევარი III სერიის თურმეობითებს პირობითად უწოდებს დრო-კილოთა II ჯგუფის შესაბამის თურმეობითებს, შემოკლებით აორისტის თურმეობითებს და განასხვავებს მათ დრო-კილოთა I ჯგუფის შესაბამისი თურმეობითებისაგან, შემოკლებით აწმყოს თურმეობითებისაგან (მეგრ. ნო-, იმერ.-ლეჩხ.-რაჭ. ნა- პრეფიქსიანი ფორმები). აღნიშნულ ფორმათა ცალკე ნაკვთებად გამოყოფას, ავტორის აზრით, მოეპოვება როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საფუძველი. აწმყოს თურმეობითები ახასიათებს სვანურსაც: „დროული ფორმები ხუაგმინა „ვუშენებდი თურმე“ და ლუმგამუნ ხუი „ნაშენებ ვარ“ უნდა გამოიყოს სვანურში დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფად“ (გ. როგავა, 1953: 26).

1961 წელს დაიბეჭდა ნოდარ ნათაძის შრომა „მყოფადისათვის ქართველურ ენებში“, რომელშიც განხილულია მყოფადის გამოსახატავად სხვადასხვა ზმნურ ყალიბთა გამოყენების შემთხვევები ქართველურ ქვესისტემებში, მათ შორის სვანურ კილოებში.

კლარა გაგუას შრომაში „დრონაკლი ზმნები სვანურში“ (1976) შესწავლილია სვანურ დრონაკლ ზმნათა სახეები ცალკეული კილოების მიხედვით; აღწერილია მწკრივთა წარმოების მიხედვით ნაკლული ზმნები. კერძოდ, გამოყოფილია ორი ჯგუფი: ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები და ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები. ნაჩვენებია აღნიშნული ტიპის ზმნათა უღლების სპეციფიკა თურმეობითის მწკრივებში. ნაშრომში წარმოდგენილ ზმნათა პარადიგმები მიჰყვება ზმნის ფორმათა ვ. თოფურიასეულ კლასიფიკაციას.

**ზურაბ ჭუმბურიძე** გამოკვლევაში „მყოფადი ქართველურ ენებში“ ვრცლად მსჯელობს სვანურის უღლების სისტემაზე, მწკრივთა ტერმინოლოგიის საკითხებზე. ავტორის აზრით, ვ. თოფურიას მიერ თურმეობითი I-ისა და თურმეობითი II-ის სახელით აღნიშნული ფორმები პირველ სერიას არ ეკუთვნის და ცალკე უნდა გამოიყოს თურმეობითი III-ისა და თურმეობითი IV-ის სახელწოდებით. ხოლო თურმეობითი I დამკვიდრდა უწინდელი ნამყოსრულის ნაცვლად, თურმეობითი II კი – ნამყო წინარეწარსულის მაგიერ.

ასევე, მკვლევარმა ვ. თოფურიას მიერ ორგან (აწმყოსეულ და მყოფადისეულ ჯგუფებში) დასახელებული პირობითის ფორმა გამიჯნა ტერმინებით: პირობითუსრული და პირობითსრული: პირობითუსრული აწმყოს წრეში განათავსა, პირობითსრული კი – მყოფადის წრეში. ამდენად, ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, სვანურის დრო-კილოთა სისტემა შემდეგ სახეს მიიღებს:

I სერია: აწმყოს წრე – აწმყო, უწყვეტილი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, პირობითუსრული,; მყოფადის წრე – მყოფასრული, პირობითსრული.

II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი.

III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი.

IV სერია: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი (ჭუმბურიძე 1986: 158).

ანალოგიური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2007 წელს გამოცემულ წიგნში „სვანური ენა“ (შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე):

I სერია: აწმყოს წრე – აწმყო, უწყვეტილი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, პირობითუსრული; მყოფადის წრე – მყოფასრული, პირობითსრული.

II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი.

III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი“ (სვანური ენა 2007: 136).

IV სერიის შესახებ აღნიშნულია: „IV სერიის მწკრივები ქართველურ ენებში სუსტადაა განვითარებული და იშვიათად გვხვდება, ამიტომ ჩვენ მათ წინამდებარე წიგნში გვერდს ვუვლით“ (იქვე: 135).

**ალექსანდრე ონიანი** წიგნში "სვანური ენა" დრო-კილოთა ოთხ სერიას გამოყოფს:

I სერია: აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, მყოფადსრული, პირობითუსრული, პირობითსრული;

II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი;

III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი;

IV სერია: III თურმეობითი, IV თურმეობითი (ონიანი 1998: 153-207). აქაც თურმეობითის ოთხი მწკრივი გვაქვს: I თურმეობითი, II თურმეობითი (III სერიაში), III თურმეობითი, IV თურმეობითი (IV სერიაში).

**იზა ჩანტლაძის** შრომაში „ქართველოლოგიური ძიებანი (1998) გაშუქებულია სვანური ზმნის სტრუქტურის ცალკეული საკითხები. წინასიტყვაობაში ავტორი შენიშნავს: „...ზმნის სტრუქტურა არსებითად ერთნაირია (უღვლილება ქართველურ ენებში გაცილებით ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო, ვიდრე ბრუნება)” (ჩანტლაძე 1998: 4).

2017 წელს გამოვიდა ამავე ავტორის ნაშრომი „სვანური ენის შესწავლის ისტორია”, სადაც წარმოჩენილია ქართველ და უცხოელ მკვლევართა ღვაწლი სვანური კილოების შესწავლის საქმეში.

2008 წელს გამოიცა **ვარლამ თოფურიას** „სვანური ენის სახელმძღვანელო” (გამომცემლები: გ. თოფურია, ი. ჩანტლაძე).

2008-2009 წელს გამოქვეყნდა **ქეთევან მარგიანი-სუბარის** ნაშრომი „ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი (ენგურისა და კოდორის მოსახლეობის მეტყველების მიხედვით)”.

2012 წელს დაიბეჭდა ქ. მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ევიდენციულობის კატეგორია სვანურ ენაში”, რომელშიც განხილულია თურმეობითის/შედეგობითის მწკრივთა წარმოებისა და სემანტიკის საკითხები, კერძოდ, გაანალიზებულია ევიდენციულობის, უნახაობის მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებები სვანურ კილოებში.

სვანური ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებულია აგრეთვე გ. მაჭავარიანის, მ. ქალდანის, კ. დონდუას, გ. დეეტერსის, ე. ოსიძის, რ.ასათიანის, ლ. პალმაიტისის, ი. ჩანტლაძის, მ. სალიანის, ქ. მარგიანის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში.

ზმნის ფორმაწარმოების საკითხების კვლევას სვანური კილოების მონაცემთა გათვალისწინებით უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველური ზმნის სტრუქტურის საფუძვლიანი შესწავლისათვის.

ვ. თოფურია მართებულად შენიშნავდა: „სვანურში დაცული არქაიზმები და მოგვიანებით მიღებული ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, სტრუქტურული სხვაობანი, დიალექტური თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და დიალექტთა ნარეობა ხელშესახებ მასალას იძლევა კერძო და ზოგადენათმეცნიერული საკითხების წამოსაყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და გასაშუქებელი”.

სვანურ კილოებში თურმეობითის ფორმათა წარმოება მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამდენად, საინტერესოა აღნიშნულ ზმნურ ფორმათა წარმოებისა და ფუნქციონირების კვლევა ცალკეული კილოების მიხედვით; საკითხის დამუშავებისას, გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოკვლევებისა და დიალექტური ტექსტების გარდა, გამოყენებულია ახალი, ჩვენ მიერ ჩაწერილი სხვადასხვა დიალექტური მასალა, რაც გვიჩვენებს სვანურ კილოებში თურმეობითის ფორმათა წარმოების მხრივ სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით არსებულ საერთო თუ განსხვავებულ, სპეციფიკურ ნიშნებს. რაც საერთო ჯამში ნათლად წარმოაჩინს გრამატიკული სტრუქტურისა და ზმნური პარადიგმების ზოგად ქართულ (ქართველურ) კანონზომიერებს.

### **3. მწკრივთა სემანტიკური კომპონენტები. ვეიდენცილობის კატეგორიისათვის**

ზოგადად, მწკრივები - საუღლებელი ერთეულები - ერთმანეთისაგან სხვაობენ არა მხოლოდ ფორმოზრევად, მაწარმოებელი აფიქსებით, არამედ სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით. აკ. შანიძის აზრით, ზმნურ ფორმებს შეუძლიათ გამოხატონ: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, აქტი... მწკრივებს სახელი მეტწილად სწორედ სემანტიკური კომპონენტების მიხედვით აქვთ დარქმეული. მაგ., აწმყოს მწკრივისთვის ნიშანდობლივია ახლანდელი დროის გადმოცემა; უწყვეტელი უწყვეტ,

უსრულ მოქმედებას გამოხატავს; წყვეტილი შეწყვეტილ მოქმედებაზე მიუთითებს; კავშირებითის ფორმებისათვის არათხრობითი კილოს სემანტიკაა მთავარი... თურმეობითის ფორმათა არსებით სემანტიკურ მახასიათებლად უნახავი მოქმედების, **ევიდენციალობის** აღნიშვნა მიიჩნევა; შდრ.:

„ქართულ ენაში თურმეობითის მწკრივებს სახელი დაერქვა **უნახაობის** ელემენტის მიხედვით. ამ მწკრივთა ფორმები გადმოგვცემს ისეთ მოქმედებებსაც, რომლის შედეგი ჩანს (ან ჩანდა) და ამ შედეგის მიხედვით გააზრებულია თვით მოქმედება. ამიტომ მათ შედეგობრივიც (რეზულტატიური) შეიძლება ვუწოდოთ” (შანიძე 1973: 223).

როგორც ჩანს, თურმეობითის ფორმებისათვის მნიშვნელოვანია აქტი, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა: „ნახულის ფორმა გადმოგვცემს პირდაპირ, უშუალოდ მოპოვებულ ცნობას მოქმედების შესახებ, უნახავისა კი ისეთს, რომელიც ისე მომხდარა, რომ მოუბარი იმ დროს იქ არ ყოფილა, ანდა, თუ ყოფილა და დასწრებია, ცნობიერება მაინც არ ჰქონია... ამიტომ, თუ ნახულის ფორმა საზოგადოდ ცნობიერია, სამაგიეროდ, უნახავი ფორმა უცნობელი იქნება” (იქვე: 211).

**ევიდენციალობა** უნივერსალური კატეგორიების რიგში განიხილება თანამედროვე ლინგვისტიკაში. ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია. სხვადასხვა ენაში ამ მიზნით გამოიყენება: დისკურსული ანალიზი, სინტაქსური, ლექსიკური თუ მორფოლოგიური საშუალებები.

ევიდენციალობა ფართო გაგებით არის ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და მოლაპარაკეს შორის არსებული მიმართების გამოხატვა – რა გზით მიიღო ინფორმაცია, პირდაპირი აღქმის შედეგია თუ მოსმენილი ან გაგებული სხვა წყაროდან; ფაქტი ნამდვილია თუ სავარაუდო ან მოსალოდნელია მოლაპარაკისათვის. ევიდენციალობის კატეგორიის კვლევა მე-20 საუკუნიდან დაიწყო. ცალკეულ ენებში შესწავლილ იქნა აღნიშნული კატეგორიის გამოხატვის გრამატიკული თუ ლექსიკური საშუალებები და გამოიყო ევიდენციალობის სახეები (ვილეთი 1988; აიხენვალდი 2004).

ევიდენციალობის განსაზღვრისთვის აუცილებელია ინფორმაციის მიღების გზა: პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ანუ ირიბი. შესაბამისად, გამოიყო ევიდენციალობის ორი სახე: 1. **პირდაპირი** ევიდენციალობა, რომელიც გულისხმობს, რომ მოლაპარაკე

თვითმხილველია და მას ინფორმაცია პირდაპირ აქვს მიღებული, 2. ირიბი ევიდენციალობა, რომელიც გულისხმობს, რომ მოლაპარაკე თვითმხილველი არ არის, მან ინფორმაცია სხვისგან მიიღო.

თავის მხრივ, ირიბი ევიდენციალობა შეიძლება იყოს: შეტყობინებითი (ვერბალური), ანუ ინფორმაცია სხვისაგან მიიღო, ან დასკვნითი (იფერენციული) – ანუ მოლაპარაკე თავად მივიდა დასკვნამდე შედეგის ან მოვლენის/ფაქტის მიხედვით. ამ მსჯელობის საფუძველზე აშკარად იკვეთება კავშირი რეზულტატიურობასა და ევიდენციალობას შორის.

თავდაპირველად ევიდენციალობა განიხილებოდა მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთ სახეობად, რამდენადაც ის გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. ეს განაპირობა, ერთი მხრივ, გამონათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულების სემანტიკამ, ხოლო მეორე მხრივ, იმ ფაქტორმა, რომ ზოგ ენაში ევიდენციალობა შეიძლება გამოიხატოს ეპისტემური მოდალობის გამომხატველი ზმნური ფორმებით. მოგვიანებით ეს ორი კატეგორია ერთმანეთისაგან გაიმიჯნა, რადგან გამოიკვეთა მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება როგორც სემანტიკური, ისე ფორმოზრივი თვალსაზრისით. განსხვავებულია სემანტიკა: ევიდენციალობა ავლენს ნათქვამის წყაროს, მის სიცხადეს, ხოლო ეპისტემური მოდალობა აფასებს მოსაუბრის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. ასევე განსხვავებულია წარმოება – ევიდენციალობა უმეტესად მორფოლოგიური ნიშნებით გამოიხატება, ხოლო მოდალობა – ლექსიკური საშუალებებით (დე ჰაინი 1999: 83, 101).

თანამედროვე ლინგვისტიკაში ევიდენციალობის კატეგორიის მიხედვით ენები ჯგუფდება იმის მიხედვით, სავალდებულოა თუ ფაკულტატიური მისი გამოხატვა.

ენათა უმრავლესობაში პირდაპირი ევიდენციალობა არამარკირებულია, ხოლო ირიბი ევიდენციალობა - მარკირებული. ამასთან, პირდაპირი ევიდენციალობა ძირითადად აღინიშნება აორისტით, ხოლო ირიბი ევიდენციალობა პერფექტული ფორმებით (მარგიანი-სუბარი 2012).

ქართულ ენათმეცნიერებაში ევიდენციალობის კატეგორია „აქტის“ კატეგორიითაა ცნობილი (აკ შანიძე). „აქტი“ შეიძლება იყოს ნანახი და უნახავი. ქართულში უნახაობის მნიშვნელობა თურმეობითის მწკრივის ფორმებსა და თურმე ნაწილაკს უკავშირდება: „დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შესაძლოა ორგვარად

გაიგოს მოუბარმა: სხვისგან გაიგოს ამის შესახებ ან თვით ნახოს მოქმედების შედეგი და ამის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ რა უნდა მომხდარიყო” (შანიძე 1973: 212). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თურმეობითის ფორმის სემანტიკა მხოლოდ უნახაობით არ შემოიფარგლება, იგი გამოხატავს შეტყობინებას, მოულოდნელობას ან ლოგიკურ დასკვნას (მარგიანი-სუბარი 2012).

უნახაობა ქართველურ ენა-კილოებში მორფოლოგიურ კატეგორიად არ განიხილება, რადგანაც ის მორფოლოგიური საშუალებით არ გამოიხატება. ის არის ძირითადად პერფექტული დროების ერთ-ერთი ფუნქცია.

ქართულ ენათმეცნიერებაში უნახაობის კატეგორიის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უნახაობა ქართულში გვიან განვითარდა და იგი თურმეობითის ფორმებმა შეითავსეს (ჩიქობავა 1962; ქავთარაძე 1956; ფხაკაძე 1989; ბოედერი 2000). ამ მოსაზრების მიხედვით, ძველ ქართულში თურმეობითის ფორმები მხოლოდ რეზულტატივის გამოხატველია, მათ მოგვიანებით შეიძინეს ახალი ფუნქცია და მნიშვნელობა. „პირველი თურმეობითის ძირითადი მნიშვნელობაა რეზულტატიურობა, შემენილი და ისტორიულად განმტკიცებული ფუნქცია (თანაფუნქცია) – უნახაობა, თურმეობითობა” (არაბული, 1984).

მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, უნახაობა ძველ ქართულშივე დასტურდება (შანიძე; სარჯველაძე 1985). მ. ბერიძე შენიშნავს: ძველი ქართულის გარკვეული „ფორმებისათვის მთავარ სემანტიკურ მახასიათებლად გამოყოფილი უნახაობისა და უნებლიობის მნიშვნელობები... მიღებულია აორისტულ ფორმებში ევიდენციალობის მოდალობის განვითარების შედეგად” (ბერიძე 2000: 102).

გ. შაბაშვილის მოსაზრებით: „უნახაობის პერფექტის ჩასახვა და განვითარება უკვე ძველ ქართულში იწყება და ფართო სახეს ახალ ქართულში იძენს, როცა საბოლოოდ ვითარდება ე.წ. ანალიტიკური პერფექტი, *მაქვს გაკეთებული* ტიპის, რომელიც პერფექტის ასპექტობრივ მახასიათებლებს იძენს და ამით პირველი თურმეობითის მწკრივს მოდალური შინაარსის განვითარებისათვის სრულ თავისუფლებას აძლევს” (შაბაშვილი 2009: 101-102).

ევიდენციალობის, უნახაობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ენის კილოებში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. აღმოსავლური დიალექტები ძირითადად ძველ ვითარებას ასახავენ – თურმეობითის მწკრივები უფრო

შედეგობითობას, რეზულტატიურობას გამოხატავენ, თუმცა შეიძლება უნახაობითი, თურმეობითი მნიშვნელობის ჩასახვა (შაბაშვილი 2010: 163).

განსხვავებული ვითარებაა დასავლურ კილოებში. უნახაობის კატეგორიის გამოხატვა სრულიად ბუნებრივია მესამე სერიის ფორმებისათვის. გარდა ამისა, რამდენიმე დიალექტში (მეგრული, იმერული, გურული, ლეჩხუმური, რაჭული) არსებობს სპეციალური, ნა- პრეფიქსიანი ფორმები ირიბი ევიდენციალობის გადმოსაცემად. ნა- პრეფიქსიანი ზმნური ფორმები მეოთხე სერიის სახელითაა ცნობილი.

მეოთხე სერიის ფორმები პირველად გამოყო გ. როგავამ. ნო- პრეფიქსიანი ფორმებს მეცნიერმა უწოდა აწმყოს თურმეობითის ნაკვთები და ცალკე ჯგუფად გამოყო ისინი აორისტის თურმეობითის ნაკვთებისაგან. გ. როგავა შენიშნავს: „ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებში მოეპოვებათ ორივე (I და II) ჯგუფის ნაკვთები, უხილავ დრო-კილოებშიც გააჩნდათ ორივე (III და IV) ჯგუფის ნაკვთები” (როგავა 1953: 17-18).

მეცნიერს აწმყოს თურმეობითის ნაკვთთა ჩამოყალიბება ქართველურ კილოებში მორფოლოგიის განვითარების შინაგან კანონად მიაჩნდა. იმ ფაქტს, რომ ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენაში არ განვითარდა, გ. როგავა იმით ხსნის, რომ მეგრულს უფრო მეტი საჭიროება ჰქონდა გამოეხატა აწმყოს ჯგუფის თურმეობითის ფორმები, რადგან სტატიკურ ზმნებს მხოლოდ პირველი ჯგუფის ფორმები ჰქონდათ (როგავა 1953: 30-31).

ნა- პრეფიქსიანი ფორმები გამოიყენება იმერულში, გურულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია სემანტიკური სხვაობა III და IV სერიის თურმეობითებს შორის, კერძოდ, „ყვარება” და „ნაყვარება” ფორმებს შორის? ნა- პრეფიქსიანი ფორმები ირიბი ევიდენციალობისაა და გარკვეული სემანტიკური ნიშნებით ხასიათდება, კერძოდ, აღინიშნება:

1. **ადმირატიულობა**, ანუ მოულოდნელი შედეგი – ნახული, რომლის შედეგი მოულოდნელი იყო მოლაპარაკისათვის. მაგ.: „ნადუღება ე წყალი რა ხანია”.

2. **ინფერენცია**, ანუ ლოგიკური დასკვნა – ლოგიკურ დასკვნაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც ძირითადად ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს. მაგ.: „ბაღნებმა მოკრიფენ გუშხამ, სუყველე ფუტურეა... ალბათ თოული მონახთენა//ნახთენა მაგას”.

3. ხმებზე დამყარებული ინფორმაცია. ეს შეიძლება დაუზუსტებელი ინფორმაციის სახელდებითაც დახასიათდეს. იგი ფაქტობრივად გულისხმობს არსებულ, გავრცელებულ ხმებზე დამყარებულ ინფორმაცია, რომელიც შეუმოწმებელი ან გადაუმოწმებელია, მაგრამ მოლაპარაკე მას მაინც იყენებს. მაგ.: „თვითან ვერ ნაჭამა თხილს და აწი რაღათ უნდა“; „ნაპარავა მაი ბიჭი ყორფელს“... (გოგოლაშვილი 2016: 387-389).

ნა- პრეფიქსიანი ფორმებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობების გადმოცემა I თურმეობითის ფორმებით სრულყოფილად შეუძლებელი იყო, ამან შეუწყო ხელი ნა- პრეფიქსიან ფორმათა გავრცელებას და დამკვიდრებას დიალექტებში.

ევიდენციალობის კატეგორია სვანურში შეისწავლა ქ. მარგიან-სუბარმა (2012). მკვლევარი ტერმინ თურმეობითს იყენებს მხოლოდ I სერიის ფორმებისათვის (რომლებიც ევიდენციალობას გამოხატავენ), III სერიის შესაბამის მწკრივებს კი შედეგობითებს უწოდებს; მათთვის დამახასიათებელია პერფექტულობა და, ზოგ შემთხვევაში (უპრევერბო ფორმებისათვის) არაევიდენციალური სემანტიკა (მარგიანი-სუბარი 2012: 92).

II თურმეობითის ფორმებს სემანტიკურად უფრო ზუსტად გამოხატავს ნა-პრეფიქსიანი მიმღობა + მეშველი ზმნა: ლ<sub>H</sub>მგ<sub>მ</sub>მ<sub>H</sub>ნ ხ<sub>E</sub>ი, ლ<sub>H</sub>მგ<sub>მ</sub>მინ ხ<sub>E</sub>ი, ლ<sub>H</sub>მგ<sub>მ</sub>მინ ხ<sub>E</sub>ი, ლ<sub>H</sub>მგ<sub>მ</sub>მნე ხ<sub>E</sub>ი „ვაშენებდი თურმე, ნაშენებვარ“.

I სერიის თურმეობითებისთვის საერთოა:

1) ორივეთი გადმოიცემა უნახავი აქტი, სხვისგან გაგონილი ამბავი;

2) ორივე იყენებს აწმყოს ფუძეს: ფუძემონაცვლე დეფექტურ ზმნათა -ემ, -ერ, -

ღსგი აწმყოსეული დაბოლოებანი სწორედ აქ აღდგება:

აწმყო: დ<sub>L</sub>სგი (ბზ.), ზ<sub>დ</sub>ისგ (ბქ.) „დებს“;

აორისტი ესდე (ზსვ.) „დადო“;

თურმ. 1 ხ<sub>ა</sub>დ<sub>L</sub>სგ<sub>E</sub>ნა (ბზ.), ხ<sub>დ</sub>დისგ<sub>E</sub>ნა (ბქ.) „ადებდა, უდებდა თურმე“;

თურმ. 2 ლ<sub>H</sub>მდ<sub>ღ</sub>სგინ (ბზ.), ლ<sub>H</sub>მდისგ<sub>E</sub>ინ (ბქ.) „დებდა თურმე“... (იქვე: 95).

I სერიის თურმეობითები „უპირობოდ, კონტექსტის მოშველიების გარეშე გახაზავს თურმეს გაგებას, უნახაობის აქტს“, რომლის გამოხატვაც, მკვლევრის ვარაუდით, -უნ-/-ინ- სუფიქსებთან არის დაკავშირებული (იქვე: 100).

რაც შეეხება III სერიის თურმეობითა სემანტიკას, აღნიშნულია: „სვანური უღლების რეზულტატიურ 1-ში (ნამყოსრული) აქტისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში. თუ ქართულში უკრეფია – მოუკრეფია, უშენებია – აუშენებია მხოლოდ ასპექტური ოპოზიციას და ეს ფორმები უნახაობის აქტს კონტექსტის გარეშე ცალსახად არ გულისხმობენ („თურმეს“ გაგებას გარკვეულ წინადადებებში ვერ ინარჩუნებენ), სვანურში საკითხი სხვაგვარად დგას: უზმნისწინო ფორმებთან აქ ანალოგიური მდგომარეობაა – ერთი და იგივე ზმნური ფორმა, კითხვითი, უკუთქმითი თუ წართქმითი, კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ატარებდეს უნახაობის სემანტიკას ან მოკლებული იყოს მას:

**ბზ.: სი ცოდ მღე ჯიჩმინა, აჯალ ჩემიდ, მიშგეაურ** (სვ.პრ. ტ. 1, 1939: 68).

შენ ცოდვა სულ (მუდამ) გიქნია (ცოდვას სულ სჩადიოდა), კიდევ ქენი (ჩაიდინე), უჩემოდ“;

(შდრ. ალა კისდ ხოლამდ ჯიჩმინა ეს მართლაც ცუდად გიქნია“).

**მღე მითიკლა, დეშ ოთეპე** (მარგიანი-სუბარი 2012: 83).

სულ ვცდილობდი (შიცდია“), ვერ დავიმალე“.

შდრ. ძირითადპრევერბიანი (ან-, ად-/ა-, ეს-/ას-, ლა-) ან რთულპრევერბიანი (ჩეათ-, ჩეან-, ჟან-, ჟეს-...) ზმნები მხოლოდ უნახაობის აქტს გამოხატავენ აღნიშნული მწკრივის ფორმაში:

**სამ შაურდა ჰებ ჩ'ოთყიდა;**

სამ შაურად ბალი მიუყიდა“.

**შუკეჟი ჩეათბურენახ.**

„გზაში დაჰლამებიათ“.

„დღეს ზმნისწინიანი ნამყოსრულის ფორმები ისევე ცალსახად ევიდენციალურია, როგორც I და II თურმეობითი“ (იქვე: 104). უზმნისწინო ფორმები ევიდენციალობას თანამედროვე სვანურში მხოლოდ **ესნძრ** („თურმე“) ნაწილაკთან ერთად გამოხატავენ.

პრევერბმა სვანურში „სრულად შეითავსა უნახაობა-უნებლობის (ევიდენციალობის), როგორც კატეგორიის, გამოხატვის ფუნქცია რეზულტატივში: თუ ქართულში უკრეფია – მოუკრეფია მხოლოდ ასპექტური ოპოზიციას, სვანურში

ზმნის პრევერბიანი ფორმები საანალიზო მწკრივში მხოლოდ „თურმე“-ს გაგებისად გვევლინებიან” (იქვე: 108).

ამასთან, აღნიშნულია, რომ „სვანურ გარდამავალ ზმნებში -ენ- სუფიქსის ჩართვა 1 შედეგობითში (ნამყოსრულში) სემანტიკაზე გავლენას ახდენს. ასეთი ზმნები წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულშივე აფიქსირებენ (ამ ასპექტით ისინი 2 თურმეობითსა და 3 ხოლმეობითს ემსგავსებიან) და უპირობოდ გამოხატავენ მოცემული მომენტისთვის გაუცნობიერებლობის, უნახაობის (1 პირში) და სხვისგან მოსმენილის (თუ 2 და 3 პირზეა საუბარი) შინაარსს“:

ოსდრ როქუი ხოშხა (ბზ.) „ჩოხებიც უკერავსო“.

ესნდრი ოსდრი ხოშხა (ბქ.) „თურმე ჩოხაც უკერავს“

შდრ. ობდშ ოსდრ ხოშხა! „ბევრი ჩოხა უკერავს!“

მაგრამ ოსდრი ხა/დშხ-ენ-ა „ჩოხაც ჰქონია ნაკერი“ (მარგიანი-სუბარი 2012: 115).

მკვლევარი ასკვნის: „საერთოდ, როგორც ვხედავთ, თურმეობითები (ტრადიციული გაგებით) სვანურში, ქართულთან (სალიტერატურო ქართულთან - ქ.გ.) შედარებით, უფრო მეტ სემანტიკურ დატვირთვას ამჟღავნებენ, მწკრივთა მიხედვით მათი აფიქსაციის მრავალფეროვნებაც ამ მიზეზით აიხსნება. ზოგადად სვანურს ახასიათებს სემანტიკის დეტალიზაციისა და თითოეული ნიუანსისთვის სინთეზური მოდელის შექმნისკენ სწრაფვა” (იქვე: 121).

პროფ. ტ. ფუტკარაძის აზრით, ქართველური ზმნური ლექსიკური ერთეული რეალიზებულია სხვადასხვა ვალენტობისა და აგებულების მქონე ყალიბებად; თითოეულ ყალიბს აქვს დროით, კილოთი და ასპექტით განსხვავებული მწკრივები; ანუ, მწკრივების ფარგლებში უღლებისას ზმნურმა ფორმამ უნდა შეინარჩუნოს როგორც აგებულება, ასევე, ვალენტობა (/პირთა რაოდენობა); შესაბამისად, იგი სალიტერატურო ენის პირველ თურმეობითს განიხილავს ზმნური ყალიბების და არა მწკრივების რიგში, ხოლო მეორე თურმეობისა და მესამე კავშირებითს მიიჩნევს იმავე ყალიბის ზმნური ფორმის მეორე სერიის ფორმად; მაგ., „გამეკეთებინა“ ფორმა „ვაკეთებ“ (აწმყოს მწკრივი) ფორმის პარადიგმაში მესამე სერიის II თურმეობითის კი არა, "მეკეთებინება" (აწმყოს მწკრივი) ფორმის პარადიგმის წევრია და მეორე სერიის წყვეტილია (ფუტკარაძე 2015).

კვლევის ამ ეტაპზე, როცა ჩვენი მიზანია სვანური მეტყველების კილოური მონაცემების შეპირისპირებითი ანალიზი, გვერდს ავუვლით ქართველური ზმნური

ფორმების კვალიფიკაციის თეორიულ პრობლემებს; თუმცა, ჩვენთვის მისაღებია თვალსაზრისი, რომ ერთი რიგის ფორმებად (ერთი ყალიბის მწკრივებად) არ უნდა განვიხილოთ სხვადასხვა აგებულებისა და სხვადასხვა ვალენტობის (/პირიანობის) მქონე ფორმები. მწკრივების სახელწოდებებისა და მწკრივთა დაჯგუფების კონტექსტში ამ ეტაპზე ჩვენ დავეყრდნობით ალექსანდრე ონიანისა და ზურაბ ჭუმბურიძის ნაშრომებში წარმოდგენილ კვალიფიკაციებს; კერძოდ, თურმეობითებს განვიხილავთ სვანური მეტყველების მწკრივთა შემდეგი სისტემის მიხედვით (წარმოვადგენთ „აგება“ ზმნის ორპირიანი ყალიბის ყველა მწკრივის ფორმას სამივე პირსა და ორივე რიცხვში ბალსქვემოური კილოს მაგალითებით) ალ. ონიანის მიერ წარმოდგენილი ზმნის პარადიგმატული სისტემის მიხედვით (ონიანი 1998).

**ვაშენებ მე მას**

**I სერია**

**აწმყო:**

ხE-გ-ემ მი ეჯის (ქორს) „ვაშენებ მე მას (სახლს)“

**ბქვ.**

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I ხE-გ-ემ	i ხE-გ-ემ-დ e ლH-გ-ემ-დ
II ხH-გ-ემ	ხ-H-გ-ემ-დ
III H-გ-ემ	H-გ-ემ-ხ

**უწყვეტელი:**

ხE-გ-ემ-დას მი ეჯის „ვაშენებდი მე მას“

I ხE-გ-ემ-დ@ს	i ხE -გ-ემ-დად e ლ-H-გ-ემ-და-დ
II ხ-H-გ-ემ-დ@ს	ხ-H-გ-ემ-დად
III Hგ-ემ-და	H-გ-ემ-დახ-ხ

**I კავშირებითი:**

ხE-გ-ემ-დე მი ეჯის „ვაშენებდე მე მას“

I ხE-გ-ემ-დე	i ხE -გ-ემ-დე-d
--------------	-----------------

**e** ლ-**H**-გ-ემ-დე-d

II **ხ**-**H**-გ-ემ-დე **ხ**-**H**-გ-ემ-დე-დ

III **H** -გ-ემ-დე-ს **H**-გ-ემ-დე-დ-**ხ**

**მყოფადუსრული:**

ობ-გ-ემ-ნე მი ეჯის „ავაშენებ მე მას“

I **ო**-**ხ**-გ-ემ-ნე **i** **ო**ხ-გ-ემ-ნე-დ

**e** **ო**ლ-გ-ემ-ნ-ე-დ

II **ა**-**ხ**-გ-ემ-ნე **ა**-**ხ**-გ-ემ-ნ-ე-დ

III **ა**-**ნ**-გ-ემ-ნ-ე **ა**ნ-გ-ემ-ნ-ე-**ხ**

**მყოფადსრული:**

ობ-გ-ემ მი ეჯის „ავაშენებ მე მას“

I **ო**ხ-გ-ემ **i** **ო**ხ-გ-ემ-დ

**e** **ო**ლ-გ-ემ-დ

II **ა**ხ-გ-ემ **ა**ხ-გ-ემ-დ

III **ა**ნ-გ-ემ- **ა**ნ-გ-ემ-**ხ**

**პირობით უსრული:**

**ხ**<sub>E</sub>-გ-მ-უნ(ოლ) მი ეჯის „(რომ) ვაშენებდე მე მას“

I **ხ**<sub>E</sub>**ი**-გ-მ-უნ(ოლ) **i** **ხ**<sub>E</sub>**ი** -გ-მ-უნ(ოლ)-დ

**e** **ლ**-**ი**-გ-მ-უნ(ოლ)-დ

II **ხ****ი**-გ-მ-უნ(ოლ) **ხ****ი**-გ-მ-უნ(ოლ)-დ

III **ი**-გ-მ-უნ(ოლ) **ი**-გ-მ-უნ(ოლ)-**ხ**

**პირობით სრული:**

ობ-გ-ამ მი ეჯის „ავაშენებდე მე მას“

I **ო**ხ-გ-ამ **i** **ო**ხ -გ-ამ-დ

**e** **ო**ლ-გ-ამ-დ

II **ა**ხ-გ-ამ **ა**ხ-გ-ამ-დ



II ჯ-ი-გ-@ნ            ჯ-ი-გ-@ნ-ბ

III ხ-ო-გ-@ნ           ხ-ო-გ-@ნ-ბ

**III კავშირებითი:**

მ-ი-გ-ენ-ს მი ეჯი „ამეშენებინოს მე ის“

I მ-ი-გ-ენ-ს            i გ<sup>E</sup> -ი-გ-ენ-ს

                                 e ნ-ი-გ-ენ-ს

II ჯ-ი-გ-ენ-ს            ჯ-ი-გ-ენ-ბ

III ხ-ო-გ-ენ-ს           ხ-ო-გ-ენ-ბ

**IV სერია**

**III თურმეობითი:**

ხუ-აგმ-ინა მი ეჯის „ვაშენებდი თურმე მე მას“

I ხუ-@გმ-ინა            i ხუ-@გმ-ინა-დ

                                 e ლ-@გმ-ინა -დ

II ხ-@-გმ-ინა            ხ-@გმ-ინა

III ხ-@-გმ-ინა           ხ-@-გმ-ინა

**IV თურმეობითი:**

ლ<sup>H</sup>-მ-გ-@მ-ნელ-ბ<sup>E</sup>ი „ნაშენებვარ“

I ლ<sup>H</sup>-მ-გ-@მ-ნე(ლ)-ბ<sup>E</sup>ი            i ლ<sup>H</sup> -მ-გ-@მ-ნე(ლ)-ბ<sup>E</sup>იდ

                                 e ლ<sup>H</sup> -მ-გ-@მ-ნე(ლ)-ლი დ

II ლ<sup>H</sup> -მ-გ-@მ-ნე(ლ)-ბი            ლ<sup>H</sup> -მ-გ-@მ-ნე(ლ)-ბი

III ლ<sup>H</sup> -მ-გ-@მ-ნე ლი            ლ<sup>H</sup> -მ-გ-@მ-ნე-ლი

**4. ზმნის სტრუქტურული ელემენტები**

**4.1. პირის ნიშნები**

## სუბიექტური პირის ნიშნები

### I პირი

სვანურ კილოებში, მსგავსად სხვა ქართველური ქვესისტემებისა, I-II სუბიექტური პირის ნიშნები პრეფიქსებია.

I სუბიექტური პირი აღნიშნება **E-, bE-, b-, 0** ალომორფებით. მათი გამოვლენა ფონოლოგიურად არის შეპირობებული: კერძოდ, ზმნის თავკიდური ბგერა ხმოვანია თუ თანხმოვანი. ამასთან, პრეფიქსების განაწილება ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში განსხვავებულია: უზმნისწინო ფორმაში I პირის მორფემა პაუზის მომდევნოდ არის წარმოდგენილი, ზმნისწინიან ფორმებში \_ ხმოვნის ან თანხმოვნის შემდეგ.

**bE-** გვაქვს ა, **K, @, ე, L, ი, M** ხმოვანთა წინ: **bE-**@რი `ვარ" (ბზ., ბქვ., ლნტ.), **bE-**არი (ლშხ.), **bE-**იშხი `ვიწვები" (ლშხ.)...

**b-** ალომორფი გვაქვს **ო** (და **N**) ხმოვნის წინ: **b-**ოსყი `ვუკეთებ", **b-**ოტხე `ვუბრუნებ", **b-**ო-ხნი `ვუხნავ" (ბზ., ბქვ., ლშხ.)...

თავკიდურხმოვნიან ზმნათა **ად-** და **ეს-** ზმნისწინიან ფორმებში I სუბიექტური პირის მორფემა გაფორმებულია **0** ან **E-** ალომორფებით. თუ **ად-** და **ეს-** ზმნის ხმოვანი ელემენტი **ო-**ს სახით არის მოცემული, მაშინ I პირის მორფემა **0** სახით არის წარმოდგენილი: **ოთ-**აბ `მივაბი" (ბზ., ბქვ., ლშხ.), **ოთ-**ჩრმ `დავიჭირე" (ლშხ.)... ხოლო თუ I სუბიექტური პირის ფორმაში აღნიშნული ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი არ არის **ო-**ს სახით წარმოდგენილი, მაშინ I სუბიექტური პირის ალომორფად **E:** **@თ-E-**შირ `დავწვები" (ლნტ.), **ას-E-**@სყ `დავაწყე" (ლნტ.), **@თ-E-**იგ `დავიდგი" (ბზ.), **ეს-E-**@დ `დავდევი" (ბზ.)...

**0** ალომორფი გვხვდება იმ შემთხვევებში, როცა თავკიდურთანხმოვნიან ზმნათა ძირეული მორფემის ხმოვანი არის **უ, ა, ანდა** ძირითადი ხმოვნის წინამავალი თანხმოვანი არის **E**, მაგ.: სგურ `ვზივარ", ტაღლი (ბზ., ლშხ.) `ვიძახი", კEიშე `ვტეხ" (ბზ., ბქვ., ლნტ.)..

**E-** დასტურდება თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში. სვანურ კილოებში I პირის **E-** ნიშანი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, ჩვეულებრივ, **ინფიქსად** იქცევა.

I პირის **ვ-** პრეფიქსის მეტათეზისი საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ქართველურ ქვესისტემებში. მეტ-ნაკლებად დასტურდება სხვადასხვა

კილოებში, კერძოდ: თუშურში, ინგილოურში, მეგრულში, სვანურ კილოებში. იშვიათია: აჭარულში, ჯავახურში, იმერულში...

ფონეტიკური პროცესი აიხსნება თავკიდურ პოზიციაში წარმოქმნილი არაბუნებრივი კომპლექსის გამარტივების ძლიერი ტენდენციის არსებობით.

სიტყვის თავკიდურად მორფემათა ზღვარზე ვ-პრეფიქსისა და ფუძისეული თანხმოვნისაგან შედგენილი ბგერათკომპლექსის ვ/E+C ცვლილება სვანურ კილოებში შეიძლება ორგვარად წარიმართოს, კერძოდ:

ა) ერთ შემთხვევაში ვ-/E-პრეფიქსი გადაინაცვლებს ფუძისეული თანხმოვნის მომდევნოდ და წარმოიქმნება ქართველურისთვის უფრო ბუნებრივი კომპლექსი (C+ვ-/E-), მაგ.: ზ.სვ., ლნტ. ტ-E-იხე `ვაბრუნებ" მიღებულია \*E-ტიხ-ე ფორმისაგან, ბქვ. რ-E-აგდი `ვლაპარაკობ" ფორმისთვის ამოსავალია \*E-რაგდი ფორმა (თოფურია 1967: 10). შდრ. ლაშხურის ვითარება, სადაც I სერიაში ზმნებს E პრეფიქსი არ გააჩნიათ, მაგ.: ტHხე `ვაბრუნებ", ტეხნი `ვბრუნდები", გარგლი `ვლაპარაკობ"...

შდრ. თუშური: ვ-დაობ>დ-ვ-აობ, ვ-ტირი>ტ-ვ-ირი, ვ-ჩეჩ>ჩ-ვ-ეჩ, ვ-ჭამ>ჭ-ვ-ამ... იმერ., აჭარ.: ვ-ხნავ>ხ-ვ-ნავ... მსგავსი ფაქტები სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ენის მისწრაფებით, შექმნას მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები (უთურგაიძე 1976).

თუკი ფუძე იწყება ლაბიალური თანხმოვნით და მას მოსდევს ე, ი ხმოვნები, პალატალიზებული ხმოვნების მქონე სვანურ დიალექტებში (ბზ., ბქვ., ლნტ.) E-ნიშანი მეტათეზისის შემდეგ ე, ი ხმოვნებს ერწყმის და ვიღებთ პალატალიზებულ (უმლაუტიან) è, O ბგერებს, მაგ.: ბზ. პèრნი, ლნტ. პèრენი `ვფრენ" მიღებულია ასე: პèრნი< პ-E-ერნი<E-პერნი, ბზ. ბèჟკEნი<ბ-E-ეჟკEნი<E-ბეჟკEნი `ვსკდები" (თოფურია 1967: 10).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ინგილოურში, ოღონდ, სვანურისაგან განსხვავებით, აქ პალატალიზებული ხმოვნები მიიღება ნებისმიერი თანხმოვნის მეზობლად, მაგ.: ვ-ფ-იქრობ>ფ-ვ-იქრობ>ფ-O-ქრობ, ვ-რ-ეცხავ>რ-ვ-ეცხავ >რ-è-ცხავ, ვ-ხ-ედავ>ხ-ვ-ედავ>ხ-è-დავ, ვ-ქენ(ი)>ქ-ვ-ენ(ი)>ქ-è-ნ...

ბ) მეორე შემთხვევაში თავკიდურ პოზიციაში არსებული თანხმოვანთკომპლექსი (ვ+C) მარტივდება ვ-ს გადასმით მომდევნო მარცვლის შემდეგ, მაგ.: სვან. (ეცერული): E-ფეშგნი > ფეშგ-E-ნი `ვიხსნები", E-ნეცხნი > ნეცხ-E-ნი `ვიღვიძებ"...

შდრ. იმერ., ჯავახ.: ვ-ნახე > ნა-ვ-ხე (შდრ. ინგ. ნოხე < ნ-ვახე < ვ-ნახე).

ვ- პრეფიქსის მეტათეზისის შემთხვევები მოწმობს, რომ მორფემათა ზღვარზე მორფონოლოგიური ცვლილებები ქართველურ ქვესისტემებში საერთო ფონემატური კანონზომიერების საფუძველზე მიმდინარეობს და იგი შეპირობებულია არაბუნებრივი ბგერათკომპლექსის მოშლის ტენდენციით.

**შენიშვნა: I სუბიექტური პირის ნიშნად საერთოქართველურში აღადგენენ ვ-/E- მორფემას.**

რაც შეეხება სვანურ **ხE-** და **E-** ალომორფების მიმართებას, ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი თვალსაზრისია გამოთქმული:

ა. შანიძის აზრით, პირველ სუბიექტურ პირში **ხ-** პრეფიქსი II სუბიექტური პირის ანალოგიით არის გადასული (შანიძე 1925: 182).

არნ. ჩიქობავა: **ხE-**ში **E** ფორმანტია პირველი პირისა, **გ** და **ხ** კი ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს: **გ-E<E**, **ხ-E<E**. ამას ის ფაქტი ამტკიცებს, რომ ქართველურ ენებში მოიპოვება ვ-ს წინ **გლქ** უკანაენისმიერთა განვითარების შემთხვევები (ჩიქობავა 1946: 123-126).

ვ. თოფურია არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, თითქოს სვან. **ხE-** წარმოშობილი იყოს II სუბიექტური **ხ-**სა და I სუბიექტური **E-**ს შეერთების საფუძველზე, რადგანაც მაშინ ის ინკლუზივის ნიშანი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ექსკლუზივს გამოხატავს (თოფურია 1967: 29).

ა. ონიანის აზრით, I სუბიექტური პირის მორფემის საერთოქართველურ არქეტიპად **\*ხE-** უნდა აღდგეს. უფრო ბუნებრივია პრეფიქსის გამარტივება ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, ვიდრე მისი გართულება სვანურში. სვანურში ეს პროცესი მხოლოდ ზოგიერთ პოზიციაში განხორციელდა (ონიანი 1978: 159).

ტ. ფუტყარაძის აზრით: „**ხ-** პრეფიქსის პოვნიერებით სვანური კილოები სრულად ასახავს არქაულ სამწიგნობრო ენას, ფხოური კილოები კი ოდნავ განსხვავებულ ვარიანტებს; შესაბამისად, ერთი მხრივ, ხანმეტობა საერთოქართველურ მონაცემად უნდა ჩავთვალოთ და მეორე მხრივ, შეუძლებელია, სვანური 1000-2000 წლიანი შუალედით დავაშოროთ არქაულ სამწიგნობრო

ქართულს, რომელშიც საერთოქართველური ხანმეტობაა ასახული (ფუტკარაძე 2006: 24).

## II პირი

II სუბიექტური პირის ნიშნის ალომორფთა განაწილება, I სუბიექტური პირის მსგავსად, დამოკიდებულია ზმნის თავკიდურ ბგერაზე, კერძოდ, ხმოვნით იწყება თუ თანხმოვნით.

თავკიდურხმოვნიან ზმნებთან (როგორც ზმნისწინიან, ისე უზმნისწინო ფორმებში) II სუბიექტურ პირს გამოხატავს **ხ-** ალომორფი: **ხ-@რი** `ხარ", **ხ-@სყი** `აკეთებ", **ხ-აB@ნი** `ხნავ" (ლნტ.), **ხ-ეში** `ვიწვები" (ლნტ.), **ხ-Hგ** `დგახარ"... **ა-ხ-@სყ** `გააკეთე" (ბზ., ბქვ., ლნტ.), **@-ხ-ისყ** `გაიკეთე", **@-ხ-შომ** `მოისვენე", **ლა-ხ-აბ** `მიაბი" (ბზ., ბქვ., ლნტ.), **ა-ხ-ასყ**, **ე-ხ-ისყ**, **ე-ხ-შომ** (ლშხ.), **ლა-ხ-დი@ნ** (ბზ.), **ლა-ხ-დიKნ** (ლშხ.) `ათხოვე"...

თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში II სუბიექტურ პირს **0** ალომორფი აღნიშნავს: **ტHხე** `აბრუნებ" (ლშხ.), **გეჭენი** `ძლებ", **სკურ** `ზიხარ" (ლნტ.). ასევე, II სუბიექტური პირი უნიშნოდ არის წარმოდგენილი თავკიდურხმოვნიან ზმნათა **ად-** და **ეს-** ზმნისწინიან ფორმებში (თანხმოვნის მომდევნოდ): **ეთ-შიხი** `დაიწვები" (ლშხ.), **@თ-ეყრ** `თავი დაანებე" (ბქვ., ლნტ.), **ათ-ე Gჩ** (ბზ.), **ეს-@გEშ** `დაასხი" (ბზ., ბქვ.)... **ლა-**, **და-**, **ან-** ზმნისწინიან ფორმებში თავკიდურხმოვნიან ზმნებთან II სუბიექტური პირის ნიშნად წარმოდგენილია **ხ-**, უზმნისწინო ფორმათა მსგავსად.

შდრ. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში II სუბიექტური პირი **ხ-**, **0** ალომორფებით აღინიშნება; **ხ-** დასტურდება რამდენიმე ზმნასთან: **ხ-არ**, **მო-ხ-ვალ**, **მო-ხ-ვედი**. დანარჩენ შემთხვევაში II სუბიექტური პირი **0** ალომორფით გამოიხატება: წერ, აკეთებ, იცავ... იშვიათია **ჰ-**, **ს-**: **ჰ-ყოფ/ყოფ**, **ს-თხოვ/თხოვ**, **ს-ცემ/ცემ**.....

**ხ-** პრეფიქსი **ხარ**, **მოხვალ**, **მოხვედი** ზმნებთან თითქმის ყველა ქვესისტემაში გვხვდება (გარდა მეგრულ-ჭანურისა). გარდა ამისა, ფხოურ კილოებში **ხ-** დასტურდება ფ პ ქ კ ყ B თანხმოვნების წინ: **გა-ხ-ყიდე**, **ხ-ქსოვ**, **და-ხ-Bოცე** (ხევს.), **ჩა-ხ-ყეფნე** (თუშ.), **და-ხ-ფარ** (მობ.)... ჯავახურში **ხ-** პრეფიქსი გამოვლინდება ვარდნა ზმნასთან: არ ჩა-ხ-ვარდე, არ გადა-ხ-ვარდე (ბერიძე 1988; მარტიროსოვი 1984). ჩრდ. ქართლურში **ხ-** გამოვლინდება მჟღერი თანხმოვნების მეზობლადაც: **და-ხ-ბარავ**, **ხ-გავ**...

**შენიშვნა: II სუბიექტური პირის** ნიშნის საერთოქართველურ არქეტიპად **ხ-** მორფემას აღადგენენ. **ხ-** პრეფიქსი მეგრულ-ქანურშიც უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი დაიკარგა (მსგავსად სალიტერატურო ქართულისა).

როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშანთა განაწილება ფონოლოგიურ პრინციპს ეფუძნება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ერთი საერთო არქეტიპისაგან მომდინარეობს.

მკვლევართა ერთი ნაწილი (ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. როგავა, გ.მაჭავარიანი...) ვარაუდობს, რომ II სუბიექტური და III ობიექტური პირის პრეფიქსებისათვის ამოსავალია **ჰ-**, ხოლო **ხ-** მისგან არის მიღებული.

მკვლევართა მეორე ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, გ. დეეტერსი, გ.კლიმოვი...) ფიქრობს, რომ **ხ** ქრონოლოგიურად წინ უსწრებს **ჰ-**ს. არგუმენტად მოყვანილია ის ფაქტი, რომ ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს.

არნ. ჩიქობავამ **ხ-** და **ჰ-** პრეფიქსები ნივთის კლასის **ს-** ნიშანს დაუკავშირა. **ს-** პრეფიქსი შეიძლება იყოს ამოსავალი **ხ-/ჰ-** ფორმანტებისათვის (ჩიქობავა 1953: 59).

ზ. სარჯველაძის აზრით, `საერთოქართველურისათვის სამართლიანია **\*ხ/ჰ** ორი ვარიანტის რეკონსტრუქცია, რომლებიც დიალექტებში იყვნენ გარჩეული (სარჯველაძე 1971: 4).

კ. დონდუა: **ხ-** დამოუკიდებელი მორფოლოგიური ელემენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ოდინდელი ფუნქცია უცნობია (დონდუა 1967: 280-285).

### III პირი

**III სუბიექტური პირის** ნიშნები ქართველურ ქვესისტემებში, როგორც წესი, სუფიქსებია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სვანური კილოები, სადაც III პირის ნიშნად გამოყოფენ **ლ-** პრეფიქსს (**ნ-/ლ-** ალომორფებით). მაგ.:

**ლ-ი** `არის`, **ლ-ჰგ** `დგას`, **ლ-@სE** `იყო`, **ლა-ლემ** `დალია` (თოფურია 1967: 2-4).

**ნ-**, **ლ-** დასტურდება **ლა-** ზმნისწინიან ფორმებში: **ლა-ნ-**კიდ `აილო`, **ლ@-ნ-**ტიხ `დაიბრუნა`, **ლა-ლ-**ჰემე `მოთიბა`, **ლა-ლ-**ბარჯე `თხარა` (ქალღანა 1959: 96-99).

ეცერულ კილოკავში (კალაშურ მეტყველებაში) ნამყო წყვეტილისა და მეორე კავშირებითის **ლა-** წინდებულისა ზმნების მესამე პირში დასტურდება **ნ-** პრეფიქსი,

რომელსაც იგივე პოზიცია და მორფოლოგიური ფუნქცია აქვს, რაც ლ- პრეფიქსს: ლა-ნ-ემ „ჭამა მან ის“, ლა-ნ-იმ „დალია მან ის“. ლა-ნ-ემ გვხვდება აგრეთვე ჩუბეხევის სოფლებში (ლაშხრაში, ხერხვაში), ბეჩოურის მაზერულ-ბაგვდანარულ მეტყველებაში. ნიმუშები :

ლა-ნ-ტაბე „თალა“; ლა-ნ-დირე „აჭამა“; ლა-ნ-ჭემე „მოთიბა“; ლა-ნ-ტუმურეხ „ატყავეს“...

ლღ-ნ-იცვეს „აიკიდოს“; ლღ-ნ-თჲრე „დალევდეს იქნება“; ლა-ნ-თენე „მომკიდეს იქნება“... (ქალდანი 1958: 215-216).

ვარაუდობენ, რომ უძველეს ქართულში S<sub>3</sub> ნიშანიც პრეფიქსი უნდა ყოფილიყო (ვ.თოფურია, ზმნა). S<sub>3</sub> ნიშნის ადგილის ცვლილება (პრეფიქსის სუფიქსად შეცვლა) სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია სუფიქსაციის მქონე ენების (ურალ-ალტაური ან ინდოევროპული ენების) გავლენით (ჩიქობავა 1940: 16).

მ. ქალდანის აზრით, „ნ- პრეფიქსი ამოსავალ ფორმანტად უნდა მივიჩნიოთ S<sub>3</sub> პირისათვის, ლ- კი გენეტურად მისგან უნდა მომდინარეობდეს, მისი ფონეტიკური ეკვივალენტი უნდა იყოს“ (ქალდანი 1958: 217).

ლახამულურში სისტემატურად იკარგება S<sub>3</sub> პირის -ა სუფიქსი უმთავრესად გარდაუვალ ზმნებში. მაგ.: ნამყო უწყვეტელში: არდ (<არდა) „იყო“; სგურდ (<სგურდა) „იჯდა“; იჩმუდ (<იჩმუდა) „შვრებოდა“... იკარგება ამავე ზმნათა ობიექტური წყობის ყველა პირში: მირდ (<მირდა) „მყავდა“, ჯირდ (<ჯირდა) „გყავდა“, ხორდ (<ხორდა) „ჰყავდა“...

იკარგება სხვა ზმნებთანაც: ხაწვანდ (<ხაწვანდა) „გააჩნდა, ებადა“; მულვანდ (<მულვანდა) „მქონდა“; ოხლვანდ (<ოხლვანდა) „მოჰქონდა“... (ქალდანი 1956: 173).

**შენიშვნა:** სხვადასხვაგვარად ხსნიან **III სუბიექტური პირის** ნიშანთა წარმომავლობას:

ვ. თოფურია III სუბიექტური პირის მორფემის საერთოქართველური არქეტიპად ასახელებს \*-ნ-ს, რომელიც ამავე ფუნქციით არქაულ ქართულსა და თანამედროვე მეგრულ-ჭანურში გვხვდება. სვანურში ნაშთის სახით შემონახულია. ლ კი ნ-საგან არის მიღებული. \*-ნ ფორმანტი მოძრავი შეიძლება ყოფილიყო. სვანურში თავსართად ჩამოყალიბდა, სხვაგან \_ ბოლოსართად (თოფურია 1967: 8).

არნ. ჩიქობავა: ძვ. ქართულის -ნ ზანურიდან შემოსული ჩანს. -ს სუფიქსი საერთოა ქართულისა და ჭანურ-მეგრულისათვის (ჩიქობავა 1936: 101). -ნ სწორედ მესამე პირის სუბიექტს აღნიშნავდა, უძველესი ფორმაციისაა სალიტერატურო ქართულში. ნ გამოიყენება შემდგომი ხანების -ა და -ს სუფიქსების ნაცვლად. -ნ სუფიქსის ვარიანტი ლ აფიქსი სვანურში. ის ფაქტი, რომ III სუბიექტური პირის მორფემის ალომორფთა გამოვლენა ფონოლოგიურ პოზიციაზე არც ერთ ქართველურ ენაში არა არის დამოკიდებული, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ არც ერთ მათგანში ეს ალომორფები საერთო არქექტიპისაგან არ მომდინარეობს (ჩიქობავა 1940: 35-40).

ივ. ჯავახიშვილი იზიარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც III პირის სუბიექტი ყველა ქართველურ ქვესისტემაში ნ-თი აღინიშნებოდა. მაგრამ თავდაპირველ ფუნქციას შეადგენდა არა მესამე პირის, არამედ მდებარეობითი სქესის აღნიშვნა (ჯავახიშვილი 1937: 449-450).

გ. კლიმოვი ნ-ს მხოლოდ საერთოქართულ-მეგრულ-ჭანურ საფეხურზე აღადგენს. ჩანს, ავტორი ამ \*ნ-სთან არ აკავშირებს სვანურ ლ-ს (კლიმოვი 1964: 144-45).

ა. ონიანის აზრით, ძველ ქართულსა და ქართველურ ენებში მესამე სუბიექტური პირის მორფემის ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს კილო, მწკრივი, დრო ან გვარი. ამდენად, საფიქრებელია, აღნიშნული სუფიქსები ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირებას გამოხატავდნენ (ა. ონიანი, 1978: 171).

ასეთია სუბიექტური პირის ნიშანთა დისტრიბუციის ზოგადი სურათი სვანურში. ალომორფთა ცვლილება ძირითადად ერთნაირი კანონზომიერებით ხდება; განსხვავებული ვითარება მეორეულია.

## **ობიექტური პირის ნიშნები**

### **I პირი**

I ობიექტური პირის აღსანიშნავად სვანურ კილოებში, მსგავსად ყველა ქართველური ქვესისტემისა, მ-პრეფიქსი გამოიყენება.

I ობიექტური პირის ნიშანი პაუზის მომდევნოდ (უზმისწინო ფორმებში) ხმოვნის წინ ყოველთვის მ-თი აღინიშნება: მ-ამარე (ბქვ., ლნტ.) `მამზადებს", მ-ატხე (ლშხ.) `მიბრუნებს"...

თანხმოვნის წინ, ჩვეულებრივ, მH- ვარიანტი გამოვლინდება: მH-ტხე `მაბრუნებს", მH-ცEრე `მტოვებს"...

V-C პოზიციაში (ე.ი. ზმნისწინიან ფორმებში) მH- მხოლოდ იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ ზმნის ფორმა ამ H ელემენტის გარდა ერთზე მეტ ხმოვანს არ შეიცავს: ა-მH-ტხ `დამაბრუნე", ა-მH-ცEრ `დამტოვე". ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია მ- ალომორფით: ა-მ-ტიხ `დამაბრუნა", ა-მ-ცEირ "დამტოვა", ა-მ-მKრე `მომიმზადა".

შენიშვნა: I ობიექტური პირის მორფემა საერთოქართველური წარმომავლობისაა. არქეტიპად \*მ- მორფემას აღადგენენ.

II ობიექტური პირი სვანურში ჯ-/ჯH- ალომორფებით გადმოიცემა. ჯ- დასტურდება ხმოვნების მეზობლობაში: ჯ-ამარე (ბქვ., ლნტ.) `გამზადებს", ჯ-ატხე (ლშხ.) `გიბრუნებს"...

ჯH- გვხვდება თანხმოვნების წინ: ჯH-ტხე `გაბრუნებს", ჯH-ცEრე `გტოვებს".

V-C პოზიციაში II ობიექტური პირის ჯH- ნიშანი იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ მასთან ერთად შეიცავს I სუბიექტურ პირსაც: ა-ჯH-ტხ `დაგაბრუნე", ა-ჯH-ცEრ `დაგტოვე"...

ხმოვნის მომდევნოდ ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია ჯ- ალომორფი: ა-ჯ-ტიხ `დაგაბრუნა", ა-ჯ-მKრე `მოგამზადა". ამ პოზიციაში ჯ-ს თავისუფლად ენაცვლება ~-: ლაშხ., ბქვ. ა-~-ტიხ (/ა-ჯ-ტიხ) `დაგაბრუნა", ლშხ. ა-~-კEKრ / ა-ჯ-კEKრ `ჩამოგაგდო"...

შდრ. ქართველურ ქვესისტემებში II ობიექტური პირი სხვადასხვა ალომორფებით აღინიშნება: გ-, ქ-, კ-, რ-, ~-, 0.

ამდენად, II ობიექტური პირის გ- მორფემა საერთოა ყველა ქართველური ქვესისტემისთვის. დანარჩენი ალომორფები ფონეტიკური ტრანსფორმაციით არის მიღებული.

**შენიშვნა:** II ობიექტური პირის მორფემის ალომორფები ქართველურ ენაკილოებში ფონეტიკური ტრანსფორმაციით არის მიღებული: სვან. გ- > ჯ- (პალატალიზაციით). შდრ. მეგრ. გ->რ- (აქცესიურ კიმპლექსებში), ჭან. გ->ქ- (ფშვინვიერ თანხმოვანთან ასიმილაციით).

**III ირიბობიექტური პირი სვანურში ხ-** პრეფიქსით არის წარმოდგენილი. პირდაპირი ობიექტური პირი არც ერთ შემთხვევაში არ აღინიშნება.

**ხ-** დასტურდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: ხ-აბემ `აბამს", ხ-ათერ `ატკბობს". ლნტ.: ხ-@Eედე `ამლევს", ხ-ო-სყი `უკეთებს", ლშხ. ლე-ხ-ტახ `მიუბრუნდა".

**0** ალომორფი გვხვდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: ათ-ბე `მიაბა, დააბა", ლშხ. ე-გომე `დაასხა", ეს-ბე `დააბა", ბზ., ბქვ. ეს-გEემ `დაასხა"...

ობიექტური პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება მხოლოდ ზემოსვანური კილოებისათვის არის დამახასიათებელი. პაუზის მომდევნოდ (უზმნისწინო ფორმებში) ინკლუზივი **გE-/გუ-** ალომორფებით აღინიშნება: ხმოვნების წინ **გE-** ალომორფი: ბქვ. **გE-**ამარე `გვამზადებს", ბზ. **გE-**ამკრე... თანხმოვნის წინა პოზიციაში – **გუ-**: **გუ-**ტხე `გვაბრუნებს", **გუ-**ცEრე `გვტოვებს"...

**გუ-** დასტურდება **ვ-C** პოზიციაშიც, როცა ობიექტური პირის ფორმაში არის მეორე სუბიექტური პირი: ო-**გუ-**ტხ `დაგვაბრუნე", ო-**გუ-**ცEრ `დაგვტოვე". ხმოვნის მომდევნოდ სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია **გE-** ვარიანტი: ო-**გE-**ტიხ `დაგვაბრუნა", ო-**გE-**ცEირ `დაგვტოვა". ბზ. ო-**გE-**მკრე, ბქვ. ლე-**გE-**მარე `მოგვამზადა".

ობიექტური პირის ექსკლუზივის მორფემა პაუზის მომდევნოდ არის **ნ-/ნH-** ვარიანტებით გადმოიცემა. **#-V** პოზიციაში დასტურდება **ნ-**: **ნ-**ათEრი `გვასწავლის", **ნ-@**ტხე `გვიბრუნებს". ბზ. **ნ-**ამკრე, ბქვ. **ნ-**ამარე `გვამზადებს"... **#-C** პოზიციაში – **ნH-**: **ნH-**ტხე `გვაბრუნებს", **ნH-**ცEრე `გვტოვებს"...

**V-C** პოზიციაში **ნH-** მხოლოდ იმ შემთხვევაში გვხვდება, თუ ობიექტურ პირთან ფორმაში მეორე სუბიექტური პირია წარმოდგენილი: ა-**ნH-**ტხ `დაგვაბრუნე", ა-**ნH-**ცEრ `დაგვტოვე"...

ხმოვნის მომდევნოდ ყველა სხვა შემთხვევაში დასტურდება ნ-: ა-ნ-ტიხ `დაგვაბრუნა", ა-ნ-ცEირ `დაგვტოვა", ბზ. ა-ნ-მKრე, ბქვ. ა-ნ-მარე `მოგვამზადა"...

ზოგადად, სვანურ კილოებში პირის ნიშნების განაწილება სერიებისა და დიათეზების მიხედვით შეისწავლა ქ. მარგიანმა. მკვლევარი ვ. თოფურიასეულ კასიფიკაციას ეყრდნობა და სვანურში სამ სერიას (დიათეზას) განიხილავს. მისი დასკვნით: „სვანურში დიათეზების მიხედვით პირის ნიშანთა ფუნქციური განაწილების თვალსაზრისით ვითარება და ზოგადი სურათი, შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო ქართულისებურია“ (მარგიანი 2011: 152).

ქართველურ ქვესისტემებში III ობიექტური პირის აღნიშვნის თვალსაზრისით რიგი თავისებურებები შეიმჩნევა. ხევს., თუმ., მოხ., ჰერული კილოები III ობიექტური პირის ნიშნების ხშირი გამოყენებით გამოირჩევა.

დიალექტთა ერთ ნაწილში (ქართლ., კახ., ფშ., მთიულ.) III ობიექტური პირის ნიშნად -- დასტურდება. უმთავრესად ხმოვნის მომდევნო პოზიციაში, როცა პირის ნიშანს მოსდევს თანხმოვანი. პაუზის მომდევნოდ კი --ს ზოგჯერ ჰ-, ს-, ზ-, შ-, ჰ-, ~ს-, ~შ-, ~ზ-, ჰს-, 0 ალომორფები ენაცვლება. ამ ვარიანტებით აღინიშნება III ირიბი ობიექტური პირი, იშვიათად პირდაპირი ობიექტური პირიც.

ინგილოურში დასტურდება ს-, შ-, ხ-, 0 (აგრეთვე --, ჰს-, ჰშ-, ჰხ-). ამ ალომორფებს უმეტეს შემთხვევაში ენაცვლება ჰ-: და-ს-წდო (და-ჰ-წდო), შ-ჰამს (ს-ჰამს, ჰ-ჰამს)... ჰ- დასტურდება ზოგი ხმოვნის წინაც: ჰ-უთხრა, ჰ-უთქომ, ჰ-უზახნი, ჰ-ოპირებ... ჯავახურში ყ, კ-ს მეზობლად ჰ ხანად იქცევა: ხ-ყიდდა, მო-ხ-ყვა, ხ-კადრა (ბერიძე 1988).

დასავლურ კილოებში III ობიექტური პირის ნიშანი, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება: თხოვა, ძულს, ყავდა... იშვიათად დასტურდება: გურ.: ჰ-კრა, ჰ-ხავს, მი-ს-ცემდა, მო-შ-ჰრა... იმერ.: ამო-ს-ძახა, გადა-ჰ-კრა... ლეჩხ.: ს-წირავდა, მო-ს-ტეხა... რაჭ. (მთარაჭული): ა-ჰ-კიდა, ჰ-ყავდა, ჰ-ქვია... აჭარ.: ს-თესავდა, შ-ჰირდება, ჟ-ჯობნის, გა-შ-ჰრა...

III ობიექტური პირის ნიშანი I სუბიექტური პირის მომდევნოდ გვხვდება მესხურ კილოებში (როგორც ძველ წერილობით ძეგლებში): ა-ვ-ს-წიოთ, და-ვ-ჰ-კარგე (იმერხ); ჩა-ვ-ჰ-ყარე, მო-ვ-ს-ჰრათ (ლივან.); და-ვ-ს-ცინით, და-ვ-ჰ-კიდევით, ვ-ს-წერით (ტაოური); და-ვ-ჰ-კარქავ, და-ვ-ს-წერავთ (მუჰაჯირთა მეტყველება) (ფუტკარაძე 1995).

მოხერში: გამო-ვ-ს-წკეპავთ, გა-ვ-ღ-ლესთ, ვ-ჰ-ფქოვდით, გა-ვ-ხ-ყვებოდით, ვ-ჰ-კითხავდი... (ქავთარაძე 1985: 50).

## 4.2. რიცხვის ნიშნები

### სუბიექტური პირის რიცხვის გამოხატვა

სუბიექტური პირის ნიშნები მრავლობითში სუფიქსებია არქაულ ქართულშიც, თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც და ქართველურ დიალექტებშიც.

სვანურ კილოებში, სადაც I-II სუბიექტური პირის მრავლობითობას -დ სუფიქსი გამოხატავს: ხE-@რი-დ/ლ-@რი-დ `ვართ", ხ-@-რი-დ `ხართ", ხE-@სყი-დ/ლ-@სყი-დ `ვაკეთებთ", ხ-@სყი-დ `აკეთებთ".

ბალსზემოურსა და ლაშხურში არის მეშველ ზმნაში -დ სუფიქსს -შდ ენაცვლება: ხE-ი-შდ `ვართ" (ექსკლ.), ლ-ი-შდ `ვართ" (ინკლ.), ხ-ი-შდ `ხართ".

შდრ. I-II სუბიექტურ პირთა მრავლობითობა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში, ჩვეულებრივ, -თ სუფიქსით აღინიშნება: ვ-წერ-თ, ვარ-თ...

სვანურ კილოებში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის წესი განსხვავებულია ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით; სუბიექტური პირის ინკლუზივის მორფემა უზმნისწინი ფორმებში ორი ალომორფით არის წარმოდგენილი: ლ- (ხმოვნის წინ), ლH- (თანხმოვნის წინ): ლ-@რი-დ `ვართ", ლ-@სყი-დ `ვაკეთებთ", ლH-შდე-დ `ვყრიოთ"... ზმნისწინიან ფორმებში კი (ე.ი. ხმოვნის მომდევნოდ) ყოველთვის ლ- ალომორფი გამოიყენება: ა-ლ-სყე-დ `გავაკეთებთ", ა-ლ-დიგ-დ `გავაქრეთ"...

სუბიექტური პირის ექსკლუზივის ფორმა -ხE მორფემით გამოიხატება: ხE-@რი-დ `ვართ", ხE-იშხი-დ `ვიწვიოთ"...

III სუბიექტური პირის მრავლობითობა -ხ სუფიქსით აღინიშნება: არი-ხ/ლი-ხ `არიან"; ახტაEი-ხ `ხატავენ"...

შდრ. III სუბიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამოიყენება -ეს, -ან, -ნ, -ენ, -ნენ ალომორფები.

### სუბიექტური პირის რიცხვის ნიშანთა გენეზისი

მკვლევართა ნაწილი (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა...) ფიქრობს, რომ -დ არის პირველადი, სვანურ კილოებში დაცულია ამოსავალი ვითარება, ე.ი. ხოლო ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მოხდა დ-ს დაყრუება აუსლაუტში.

თანამედროვე სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, განსხვავებით სვანური კილოებისა, დამახასიათებელია აბსოლუტურ ბოლოში მჟღერთა დაყრუება. მველი ქართულისათვის იგი უცხოა, თავს იჩენს საშუალ ქართულში (ახვლედიანი 1949: 251).

არნ. ჩიქობავას აზრით, -თ ნივთის კლასის ნიშანი იყო, შემდეგ რენტერპრეტაციის შედეგად ის სუფიქსად იქცა (ჩიქობავა 1954: 67-76).

ამ მოსაზრებას იზიარებს გ. როგავაც (1952: 37-38).

ა. ონიანი: I-II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის თ-ს ქართულში დ-ს პოზიციური დაყრუების საფუძველზე მიღებულად ვერ მივიჩნევთ. თუ დავუშვებთ მრავლობითობის თ<დ, მაშინ იგივე ცვლილება უნდა განეცადა ვითარებითი ბრუნვის (-ად/-დ) ნიშანსაც (ონიანი 1978: 199).

გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ I და II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის სუფიქსები უნდა ყოფილიყო: ქართ. თ, მეგრ.-ჭან. თ, სვან. შდ. ამ რეგულარული ფონემათშესატყვისობის საფუძველზე საერთო-ქართველური საფეხურისათვის აღდგება /\*ს<თ/ არქეტიპი (მაჭავარიანი 1965: 33-36). შემდეგ მოხდა შდ-ს გამარტივება: -შდ>-დ. -შდ მრავლობითის ნიშნად დასტურდება ბალსზემოურსა და ლაშხურში მეშველი ზმნის I და II სუბიექტური პირების მრავლობითში: ხE-ი-შდ (ექსკლ.), ლ-ი-შდ (ინკლ.), ხ-ი-შდ, ლ-ი-ხ `ვართ, ხართ, არიან".

სვანურში III პირის მრავლობითობის -ხ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული:

1. -ხ შეიძლება -ყე ნაწილაკს და კავკასიურ ენებში (ჩერქ., აფხაზ.) ანალოგიური ფუნქციის ფორმანტებს დაუკავშირდეს (თოფურია 1967: 9);

2. -ხ ადილური ელემენტია სვანურში. -ხ მრავლობითობას აღნიშნავს სვანურსა და ადილურში (ჩიქობავა 1948: 263; ჯანაშია 1959: 100-102).

3. სვანურ ხ-ს შესატყვისი ემეზნება ქართულში: ს-ხამს, განა-ხ-უნა, დათ-ხია (ქავთარაძე 1954: 216-244).

III პირის მრავლობითობის მორფემის საერთო-ქართველური არქექტივის რეკონსტრუქცია არ ხერხდება.

### ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვა.

სვანურში (ზემოსვანურ დიალექტებში) ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას **გE-/ნ-** პრეფიქსები გამოხატავენ, მაგ.:

ინკლ.	ექსკლ.
გE-აყა `გყყავს"	ნ-აყა `გყყავს"
გუ-ტხე `გვაბრუნებს"	ნH-ტხე `გვაბრუნებს"
გE-იხტ@Eი `გვიხატავს"	ნ-იხტ@Eი `გვიხატავს"

შდრ. მხ. რიცხვი:

მ-ა-ყ-ა `მყავს"
მH-ტხ-ე `მაბრუნებს"
მ-ი-ხტ@E-ი `მიხატავს"

ლახამულურ კილოკავში შენიშნულია ისეთი შემთხვევები, როცა **O** საწარმოებლად მხოლოდ უ პრეფიქსია წარმოდგენილი, მაგ.: **ღ-E** -ღე „წაგვართვა“. მსგავსი ფაქტები სხვა კილოკავ-თქმებში არ დასტურდება (ქალდანი 1956: 172). „საკითხავია: **გ**-ს დაკარგვასთან უნდა გვქონდეს საქმე ლახამულურში, თუ სხვაგან არის იგი განვითარებული? გადაჭრით პასუხის გაცემა ჭირს. ერთი კია, რომ ქართველურ ენებში და განსაკუთრებით სვანურში **E**-ს წინ **გ** (და საერთოდ უკანაენისმიერები) კი არ იკარგებიან, არამედ ვითარდებიან" (იქვე). „აქ **გ**-ს დაკარგვის ფონეტიკური საფუძველი თითქო არ არსებობს" (იქვე: 173).

ქვემოსვანურ დიალექტთა (ლენტეხური, ლაშხური) | ობიექტურ პირში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციას ადგილი არა აქვს. აქ | პირს გამოხატავს **მ-/მH-**, ხოლო მრავლობითში **გE-/გუ-**, რომელიც რიცხვის გამომხატველად მიიჩნევა. მხ.: მ-აყა, მH-ტხე \_ მრ.: გE-აყა, გუ-ტხე...

შენიშვნა: სვანურ კილოებში ობიექტის (პირდაპირი) მრავლობითობის გამომხატველად გამოყოფენ აგრეთვე შემდეგი სუფიქსებს: ბზ. **Kლ, Pლ, H-რ, Oრ**,

ილ, ლშ. ~ელ, **ჰრ, ორ**, ბქვ., ლნტ. ალ, @ლ, იელ, **ჰრ, ურ** (თოფურია 1967: 233-34; შარაძენიძე 1954: 192-98). აღნიშნული სუფიქსები რიგი თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ:

1. მათთან ყველა შემთხვევაში თავისუფლად მონაცვლეობს ნული, მაგ.: ბზ. აბტ@EPლი/აბტ@უი ეჯ~@რს `ხატავს მათ", ატEრ-Pლ/ატEრე ეჯ~@რს `ანათებს მათ"...

2. იგივე სუფიქსები ზოგჯერ მხ.რიცხვშიც დასტურდება: ლშ. აცლ-**ჰრ-ე/ცHლე** ფიცარს `ხეთქავს ფიცარს", აბBპურ-ე/ბუBEე ზექს `აპობს შემას".....

ამგვარაა, სვანურში დასახელებული სუფიქსები არ არის პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობის მკაფიო გამომხატველი და მათი ძირითადი ფუნქცია გასარკვევია.

**II ობიექტური პირის მრავლობითობას სვანურში აღნიშნავს -ხ სუფიქსი:** ჯ-ამKრე-**ხ/ჯ-ამKრ-Pლ-ი-ხ** ეჯა სგ@~ `გამზადებთ ის თქვენ", ჯ-აყა-**ხ** სგP~ ეჯა `გყავთ თქვენ ის".

**III ირიბობიექტური პირის მრავლობითობა სვანურ კილოებში -ხ პრეფიქსით** გამოიხატება გარკვეული ტიპის ზმნებშიმ კერძოდ, გრძნობა-ქონების აღმნიშვნელ ზმნებში: ხ-ალატ-**ხ** „უყვართ », ხ-ა-ყა-**ხ** „ჰყავთ », ხ-ასისგ-**ხ** „სძულთ"...

შდრ. **III პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობა არასდროს არ** აღინიშნება: აბტა-ი ეჯდღრს ეჯა „ხატავს მათ ის", ანკიდ ეჯდღრ ეჯნემ „ამოწყვიტა ისინი მან"...

სალიტერატურო ქართულში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღინიშნება, თუ ის არის ირიბი და ისიც გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილში: ს-ძულ-**თ** მათ ის, ჰ-ყავ-**თ** მათ ის, ეხერხება-**თ** მათ ის...

ზოგ კილოში (კახური, თიანური) **III ირიბი ობიექტის მრავლობითობა -თ** სუფიქსით აღინიშნება გარკვეულ ზმნებთან: თიან.: მი~გვარათ, მი~ვარდნიათ (ცოცანიძე 1970: 193).

**პირდაპირი ობიექტის რიცხვის გამოხატვა**

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა სვანურ ზმნაში გამოხატულია იმის მიუხედავად, თუ რომელ ბრუნვაში დგას ობიექტი, – სახელობითში თუ მიცემითში, ანდა რომელ სერიაში ზმნა, – პირველში, მეორესა თუ მესამეში.

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ობიექტის მრავლობითობა მხოლოდ მაშინ აისახებოდა ზმნაში, როცა ობიექტი სახელობით ბრუნვაში იდგა, გარდამავალ ზმნბი მეორე და მესამე სერიებში იყო.

„ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვით სვანური, ერთი მხრივ, ძველი ქართულის ვითარებას მოგვაგონებს, მაგრამ, მეორე მხრივ, საგრძნობლად განსხვავდება მისგან. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, მეორეულია, ინოვაციაა სვანურში, სადაც ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის პროცესი ბოლომდე იქნა მიყვანილი და ყველა სერიაზე გავრცელდა, ქართულში კი მოშლის გზაზე დადგა და ახალ ქართულში მთლიანად გაქრა კიდევ” (სვანური ენა 2007: 182).

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოიყენება შემდეგი სუფიქსები: ბალსზემოურ კილოში: Pლ, -იLლ, (ღLლ), -Hრ (Hლ), ა̇რ (ა̇ლ), -Mr. ისინი ორ ძირითად სახეზე დაიყვანება: -ლ (Pლ, იLლ, ღLლ) და Hრ (Hლ, -ა̇რ, ა̇ლ, Mr). „Hრ ჩვეულებრივ ფუძედრეკად ზმნებში იხმარება, Kლ და იLლ სუფიქსები – არაფუძედრეკადებში. იLლ უფრო იშვიათია, ვიდრე Pლ” (შარაძენიძე 1954: 194).

მაგალითები გამოქვეყნებული ტექსტებიდან:

ყHრHმ-შავხანდ ყ'ღნHრმKლე წინწლარ (ზზ. 193,5) „ყირიმ-შავხანმა დაიჭირა წიწილები”.

უშგვლღრდ ჩKყღრ ყ'ღნHრმKლებ (ზზ. 53, 25) „უშგულელებმა ცხენები დაიჭირეს” (სვანური ენა 2007 : 182).

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი შეიძლება გადაჰყვეს ზმნას ვნებითში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ ქართულში. ამრიგად, ასეთ შემთხვევაში ვნებითის სუბიექტური პირის მრავლობითობა ორმაგად არის გამოხატული:

ღნHრდKლPნხ „გაიზარდნენ”

იყლEრალPხ „იყრებიან, სცილდებიან ერთმანეთს”

ჩვღდრიგვKლPნხ „შერიგდნენ”

ღდქებდKლPნხ „დაემწყვდნენ”... (იქვე: 183).

„ძველი ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა საწყისშიც აღინიშნება. მაწარმოებელი აქაც იგივე სუფიქსებია, რაც ზმნის პირიან ფორმებში“ :

ლირმი – ლირმ<sup>რ</sup>ლი „დაჭერა“

ლირდი – ლირდ<sup>რ</sup>ლი „გაზრდა“

ლიტურე – ლიტურ<sup>რ</sup>ლი „ანთება“

ლიკრე – ლიკრ<sup>რ</sup>ლი „გაღება“ (იქვე: 183).

### ობიექტის მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისი

**გუ-/მ-** პარალელურ ფორმათა მიმართების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს:

1. **მ-აქებს/გუ-აქებს...** ტიპის ფორმები ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამომხატველია: **მ-** ექსკლუზივს (მე+ის/ისინი) აღნიშნავს, **გუ-** – ინკლუზივს (მე+შენ/თქვენ) (შანიძე 1923-24: 373-374; თოფურია 1967; მელიქიშვილი 1977; ონიანი 1978; მეტრეველი 1980).

2. **მ-/გუ-** პრეფიქსიანი ფორმები ერთი და იმავე შინაარსის ვარიანტებია, მხოლოდ სხვადასხვა დიალექტური წრისთვის დამახასიათებელი: **გუ-** აღმოსავლური დიალექტების კუთვნილებაა, ხოლო **მ-** ზანურისა და მასთან ახლოს მყოფი სამხრული და დასავლური კილოების (ჩიქობავა 1946: 105-106).

არქაულ ქართულში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობას უჭერს მხარს სვანურ კილოთა (ბალსზემოური, ბალსქვემოური) მონაცემები. **ინკლუზივის** პრეფიქსი ძველ ქართულსა და სვანურ კილოებში ერთი და იგივეა – **გE** (გE-K<sup>რ</sup>, გუ-აქუს), **ექსკლუზივისა** – განსხვავებული: ძველ ქართულში **მ-** გვაქვს (მ-აქუს), სვანურში – **ნ-** (ნ-K<sup>რ</sup>).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ I ობიექტური პირის ფორმაში **გვ-** პრეფიქსის მორფოლოგიური ფუნქცია ძველ ქართულში განსხვავებულია თანამედროვე ქართულისაგან. მართალია, ეს პრეფიქსი ძველ ქართულშიც მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში დასტურდება, მაგრამ ის მრავლობითობას არ აღნიშნავს. თუ ობიექტური პირი სახელობითში დგას, მაშინ მისი მრავლობითობა **-ნ**, **-ან**, **-ენ** სუფიქსებით აღინიშნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **გუ-** არ არის მრავლობითობის გამომხატველი, მაგ.: აღ-გუ-ამაღლ-ნ-ა ჩუენ, და-გუ-ბად-ენ ჩუენდა.

გუ- აქ ისევე არაა მრავლობითობის აღმნიშვნელი, როგორც მ- ფორმებში: აღ-მ-ადგინ-  
ნ-ა, გან-მ-აახლ-ნ-ა (ჩიქობავა 1946: 98-100).

გუ- რომ მრავლობითობის ფორმანტი იყოს, სრულიად გაუგებარი იქნებოდა  
გან-გუ-აახლ-ნ-ა ტიპის წარმოებაში -ნ (/ენ) სუფიქსის გამოყენება (ისევე ობიექტის  
მრავლობითობის მაჩვენებლად).

მკვლევრის აზრით, ძველ ქართულში ობიექტური პირის მრავლობითობის  
აღმნიშვნელი -ენ სუფიქსი (-ან, -ნ ვარიანტებით) წარმომავლობით III სუბიექტური  
პირის მრავლობითობის -ენ-ს უკავშირდება (ჩიქობავა 1929: 112-118; ჩიქობავა 1946:  
93).

თანამედროვე ქართულში (როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში)  
ობიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველი -თ სუფიქსი იგივე  
მორფოლოგიური ერთეულია, რაც I-II სუბიექტურ პირთა მრავლობითის ფორმებშია  
მოცემული. ობიექტურ პირთა მრავლობითობის -თ სუფიქსი სუბიექტურ პირთა  
ანალოგიით არის გაჩენილი.

### 4.3. ზმნისწინი

სვანურში ზმნისწინთა ორ ჯგუფს გამოყოფენ: 1. ან-, ლა-, და-, ეს-, 2. ჟი-, ჩუ-,  
სგა-, ქა- (თოფურია 1967: 52-54). თითოეული მათგანი დამოუკიდებლადაც იხმარება.  
ამასთანავე, პირველი და მეორე ჯგუფის ზმნისწინების ერთმანეთთან კომბინაციით  
მიიღება 16 სხვადასხვა ერთეული, რომელთაც რთულ ზმნისწინებს უწოდებენ  
(მეორე რიგის ზმნისწინები დამოუკიდებლად სრულ ასპექტს ვერ აწარმოებენ).

სვანურში რთული ზმნისწინების წარმოების პრინციპი სალიტერატურო  
ქართულის ანალოგიურია: ორი მარტივი ზმნისწინის შეერთებით მიიღება:

ჟი- + ან- > ჟ,ან-: ჟ,ან-ღრი `ამოდის“; ჟ,ან-კიდ „აილო“;

ჩუ- + ან- > ჩEან: აგემ `აგებს“ – ჩEად-გემ `ააგებს“, ჩEან-ღრი `ჩამოდის“.

სვანურში ზმნისწინები წარმოდგენილია ფონეტიკური ვარიანტების სახით;  
იცვლება ზმნისწინთა როგორც ხმოვანი ელემენტები, ისე თანხმოვნითი ნაწილიც.

ზოგადად ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე წესი არსებობს:

**I წესი:** ა ხმოვნის შემცველი ზმნისწინებში ა > ე (ლშხ., იშვიათად ბქვ.), @ (დანარჩენ კილოებში) შემდეგ შემთხვევებში:

ა) სათავისო ქცევის **ი-, M-, --** ალომორფების მეზობლად: @ხისყ `გაიკეთე” (შდრ. ლშხ. ეხისყ);

ბ) სასხვისო ქცევის **ი-, M-** ალომორფებთან: @ჯBიდ `მოგიტანა” (შდრ. ლშხ ე-ჯBიდ);

გ) **ი-, M-, ე-, L-** პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებთან: @დშიხი `დაიწვება” (ლშხ. ედშიხი).

**II წესი:** ზმნისწინისეული ხმოვანი ელემენტები წარმოდგენილია **ო-**ს სახით შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა ზმნისწინს მოსდევს S<sub>1</sub> მორფემა: **ო-ხE-**აგ `ავაგე”, **ოთ-ხატაE** `დავხატე”, **ონ-BE-**ედ `მოვედი”;

ბ) O<sub>1</sub> მორფემის მეზობლად: **ო-გE-ხატE**ე `დაგვხატა”, **ლო-გE-**აბ „შეგვაბი”;

გ) **ო-, N-** ხმოვანი პრეფიქსების (ე.წ. სასხვისო ქცევის პრეფიქსების) შეხვედრისას: **ოთ-B**იდ `მიუტანა”, **ოს-გე** `დაუღგა”.

**III წესი:** პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია. იკარგება ან ზმნისწინისეული თანხმოვანი, ან პირის ნიშანი. კერძოდ:

ა) **ან-, ად-, ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი იკარგება, თუ მათ მოსდევს **მ-/მH-, ჯ-/ჯH-, ლ-/ლH-, გE-/გუ-, ნ-/ნH-** პირის ნიშნები:

ა-მ-Bიდ (ბზ.) `მომიყვანა” (შდრ. **ან-B**იდ `მოიყვანა”)

@-ჯ-შიხ `დაგიწვა” (შდრ. **ოთ-შიხ** `დაუწვა”)

ე-მ-ყა `მიმყავს” (შდრ. **ეს-ყა** `მიჰყავს”).

ბ) S<sub>1</sub> **ხE-/ხ-**, S<sub>2</sub> **ხ-**, O<sub>3</sub> **ხ-** ნიშნები იკარგება, **ად-, ეს-** ზმნისწინისეული თანხმოვნები უცვლელია: **ოს-აბ** `დავაბი“, **ესაბ** `დააბი“.

გ) **ან-** ზმნისწინისეული თანხმოვანი იკარგება S<sub>1</sub> **ხE-/ხ-**, S<sub>2</sub> **ხ-**, O<sub>3</sub> **ხ-** პრეფიქსების მეზობლად: **ო-ხE-**@სყ `გავაკეთე”, **ა-ხ-**@სყ `გააკეთე”, **ო-ხ-**სყე `გაუკეთა”.

**IV წესი:** ძირეული თანხმოვნის წინ **ან-, ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი უცვლელია, **ად-** ზმნისწინის თანხმოვანი კი იკარგება: **ან-B**@დ `მოვიდა”, **ეს-ლრი**

„მიდის“. შდრ. ა-ტხე „დააბრუნებ, დააბრუნებს“, ა-დგე „გააქრობ, გააქრობს“ (ა. ონიანი, 1998: 123-129).

#### 4.4. ხმოვანი პრეფიქსები

სვანურ კილოებში, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა და სხვა ქართველური ქვესისტემებისა, ზმნას დაერთვის ხმოვანი პრეფიქსები. სვანურში ზმნის ხმოვან პრეფიქსებად გამოიყენება: ა-, ე-, ი-, უ-, ო-. ისინი სხვადასხვა ტიპის ზმნებთან სხვადასხვა ფუნქციით გამოვლინდება.

ზმნური ხმოვანპრეფიქსები ქართულში სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის (გვარის, ქცევის, კონტაქტის, სიტუაციის, უკუქცევითობის...) მაწარმოებლად მიიჩნევა. შესაბამისად,

ხმოვანი პრეფიქსების წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. კერძოდ:

**გ. დეეტერსის** მიხედვით, ქცევა თვით ენაში მოცემული კი არ არის, არამედ გამოხატავს თვალსაზრისს მომწესრიგებელი გრამატიკოსისა, რომელიც აყალიბებს ახალ ქართულში არსებულ ვითარებას. ისტორიულ-შედარებითი განხილვა ვერ გამოვა აქედან, არამედ იგი უნდა ფორმალურ ელემენტთა განხილვიდან ამოვიდეს, რამდენადაც იგი ცალკეულ მაქცევართა ფუნქციებს ცალ-ცალკე იკვლევს (დეეტერსი 1930: 71).

**არნ. ჩიქობავას** აზრით, ი- და უ- პრეფიქსები წარმომავლობით ნაცვალსახელური ნაწილაკები უნდა იყვნენ. ზოგადად, ა-, ე-, ი-, უ-ხმოვნების პირვანდელი ფუნქცია საძებარია. ის მართებულად მიიჩნევა გ.დეეტერსის მოსაზრებას (ჩიქობავა 1959: 167).

**ბ. ჯორბენაძე:** ი- პრეფიქსი სამივე ქართველურ ენაში არის უკუქცევითი ფორმების (რეფლექსივის) მაწარმოებელი; ე-, ა- და უ-პრეფიქსები კი აღნიშნავენ კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის მქონებლობას, კონკრეტულად, მიუთითებენ ირიბი ობიექტური პირის რაგვარობაზე (ჯორბენაძე 1998: 181-182).

მკვლევარი შენიშნავს: `ხმოვანი პრეფიქსები მართლაცაა წარმოდგენილი იმ ზმნურ ფორმებში, რომლებიც ამა თუ იმ კატეგორიაში არიან გაერთიანებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ფორმანტები მაინცდამაინც ამ კატეგორიისათვის ნიშანდობლივი მნიშვნელობის გამომხატველნი არიან (ჯორბენაძე 1983: 3).

ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისით, ხმოვანი პრეფიქსების ზოგად ფუნქციად შეიძლება განისაზღვროს ზმნური ყალიბების წარმოება. ისინი უნდა განხილულ იქნეს როგორც ზმნური ყალიბის ამგები მორფემები (თემის ნიშნებისა და -ოდ/-დ სავრცობის მსგავსად) (ფუტკარაძე 2010: 296).

აღნიშნული მორფემები ქართველურ ქვესისტემებში სხვადასხვა ფუნქციით გამოვლინდება, რაც გრამატიკული კატეგორიისთვის უცხოა. მაგალითად, -ი პრეფიქსი გვხვდება:

1. ვნებითის ფორმებში: ი-ჭრება, ი-ხარშება; მ-ი-შენდება, გ-ი-შენდება...
2. მოქმედებითის ყალიბში: ვ-ი-შენებ, ი-შენებ, ი-შენებს... მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს...
3. მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში: ი-მღერს, ი-ცინის...
4. მყოფადის წრისა და II სერიის ფორმებში: ი-ბიბინებს - ი-ბიბინა, ი-დგება-ი-დგა... (ჯორბენაძე 1983: 106).

სხვა მკვლევართა აზრით, ი- პრეფიქსის ზოგად ფუნქციას წარმოადგენს უკუქცევითობის/რეფლექსივის გამოხატვა (მარი 1925: 136-137; როგავა 1942; ჯორბენაძე 1983: 107; მელიქიშვილი 2001: 84-85).

-ი პრეფიქსის (ზოგადად, ზმნური ხმოვანი პრეფიქსების) ძირითადი ფუნქციაა `ადგილიანობასთან` მიმართებით `ვალენტობის` ცვლის (პირის კლება ან მატება) გრამატიკული მარკირება (ასათიანი 1987: 192-196).

-ი პრეფიქსს უახლოეს (სამოქმედო) ობიექტზე მინიშნების ფუნქცია უნდა ჰქონოდა (შეროზია 1980: 122).

ფუნქციური მრავალფეროვნებით ხასიათდება -ა, -ე, -უ პრეფიქსებიც.

-ა პრეფიქსი გვხვდება `გარდამავლობის, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის წარმოების შემთხვევებში. აღნიშნულ შემთხვევებში მისი დანიშნულება უკავშირდება ზმნის პირიანობის მატებას და არა აღნიშნული გრამატიკული კატეგორიების წარმოებას (დამენია 1982: 129).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი და იმავე ფუნქციით გამოიყენება ორი ნიშანი, მაგ., სასხვისო ქცევის ნიშნებად მიჩნეული **ი-** და **უ-** პრეფიქსები (განაწილებულია პირების მიხედვით: **მ-ი-წერს**, **გ-ი-წერს**, **უ-წერს**) (ჯორბენაძე 1983: 6).

‘რანგთა სინტაგმატური ფორმულის’ მიხედვით, ერთ სიტყვაში დაუშვებელია ერთი რანგის ორი მორფემა. ზმნურ ფორმაში, როგორც წესი, არასდროს არ გვხვდება ორი ხმოვანი პრეფიქსი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ერთი რანგის მორფემებია (დამენია 1982: 42-56).

ის, რაც ითქვა სალიტერატურო ქართულის ხმოვანი პრეფიქსების შესახებ, ეხება ქართველურ დიალექტებსაც.

**სვანურ კილოებში** ძირითადად იგივე ხმოვანი პრეფიქსები დასტურდება, რაც სალიტერატურო ქართულში:

**ა-/@-:** **ხ-@-შხ-უნ-ე** ‘აწვევინებს’, **ხ-@-სყ-უნ-ე** ‘აკეთებინებს’...

**ი-/M-:** **ი-სყ-ი** ‘იკეთებს’, **M-ყი** ‘იყვანს’... **მ-ი-სყი** ‘მიკეთებს’; **ჯ-ი-სყი** ‘გიკეთებს’... **ი-ხტაEი** ‘იხატება’, **ი-Bნი** ‘იხვნება’, **ი-შხი** ‘იწვება’...

**ე-/L-:** **ხ-ე-ხტაEი** ‘ეხატება’, **ხ-ე-ბმი** ‘ებმება’...

**ო-** გამოვლინდება სალიტ. ქართ. **უ-** პრეფიქსის ნაცვლად): **ხ-ო-სყი** ‘უკეთებს’, **ხ-ო-ხტაEი** ‘უხატავს’...

ხმოვანპრეფიქსული და უხმოვანპრეფიქსო წარმოების ისტორიული მიმართების შესახებ საინტერესოა არნ. ჩიქობავას მოსაზრება; მეცნიერის აზრით, ისტორიულად აწმყოში ხმოვანპრეფიქსიანი წარმოება უნდა გვქონოდა, უხმოვანობა მეორეულია. ეს ეხება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. არქაული ვითარება დაუცავს სვანურს: **ა-Bნი** ‘ხნავს’, **ა-ხტ@ვი** ‘ხატავს’ (ჩიქობავა 1959: 166-167).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის სუფიქსურ წარმოებას არცთუ იშვიათად ძვ. ქართულში პრეფიქსიანი ფორმები შეესაბამება: **დამარილდა** - **დაიმარილა**, **შეერთდა** - **შეიერთა**, **შეზავდა** - **შეიზავა**, **აღმოცენდა** - **აღმოეცენა**, **დამკვიდრდა** - **დაემკვიდრა**... (ნოზაძე 1961: 64).

მსგავსი ფაქტები შენიშნულია დიალექტებშიც: **დაეცქირა** (ფშ.) ‘დააცქერდა’, **გაეთხოვა** (იმერხ., გურ.) ‘გათხოვდა’, **გაეჯავრა** (ქიზიყ.), **გL Gჯავრ** (თუშ.) ‘გაჯავრდა’... (ნოზაძე 1961: 67-68); აჭარ.: **იკინკლება** ‘კინკლაობს’, **დიესახლება**

„დასახლდება“, გიეჭენება „გაჭენდება“, გიეგრძელება „გაგრძელდება“... (ფუტკარაძე 2009).

პარალელური წარმოების ფაქტები სვანურში: დეგ-ნ-ი - ი-დMგი „ქრება“, კEემ-ნ-ი - ი-კEMში „ტყდება“ (თოფურია 1967: 181).

სვანურში გამოვლენილი ხმოვანპრეფიქსიანი (აგრეთვე უხმოვანპრეფიქსო) ყალიბები სალიტერატურო ქართულის წარმოების ანალოგიურია. ამ მხრივ არსებული განსხვავება მეორეულია და „ფორმაწარმოებითი ვარიაციულობის ფარგლებს არ სცილდებიან“ (ჯორბენაძე 1995: 186).

#### 4.5. თემის ნიშნები

ქართული/ქართველური ზმნის სტრუქტურაში გამოიყოფა ერთი რიგის სუფიქსები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში თემის ნიშნების სახელით არის ცნობილი. აღნიშნული ფორმანტები დაერთვის აწმყოს ფორმებს (აგრეთვე მისგან ნაწარმოებ მწკრივებს). ისინი არსებითად ფუძის მაწარმოებელ ელემენტებს წარმოადგენს. თემის ნიშნით განსხვავდება აწმყო-წყვეტილის ფუძეები. თემის ნიშნებად წოდებული ზმნური სუფიქსები სალიტერატურო ენასა და კილოთა უმეტესობაში ზოგი ტიპის ზმნებთან მესამე სერიის ფორმებთანაც (მათ შორის თურმეობითში) გამოვლინდება. ამდენად, საინტერესოა ამ კუთხით სვანურ კილოებში თურმეობითის ფორმათა წარმოების საკითხი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უთემისნიშნო ზმნების რაოდენობა მცირეა: წერს, ჭამს, ბანს... უთემისნიშნო ფორმები (თიბს, ჯოცს, ლეწს...) არქაული ქართულისთვის არის დამახასიათებელი. ისტორიულად ათემატურ (მარტივფუძიან) ზმნათა დიდი ნაწილი დღეს თემის ნიშნითაა გაფორმებული (თიბავს, ხოცავს, ლეწავს...).

დიალექტები ამ მხრივ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს; კილოთა ერთ ნაწილში (ხევსურულში, მოხეურში, თუშურში, ზემოიმერულში, ნაწილობრივ გურულსა და აჭარულში) დასტურდება ძველი წარმოება; დიალექტთა მეორე ნაწილი (ქართლური, კახური, ინგილოური, სამცხური, ჯავახური, ტაოური

ქვემოიმერული, ლეჩხუმური...) უნიფიკაციის ტენდენციას ამჟღავნებს: აწმყოს ფორმები თემის ნიშნებს დაირთავენ.

**სვანურ კილოებში** ზოგადად დაცულია არქაული, უთემისნიშნო წარმოება. თემის ნიშნები იშვიათად გამოიყენება. ამასთან, ძნელია თემის ნიშნებად მიჩნეული სუფიქსების დაკავშირება საერთოქართველურ მონაცემებთან.

სვანურში გამოყოფენ შემდეგ თემის ნიშნებს:

-**ემ**: ა-გ-ემ/ა-გ-ემ, „აგებს“ (შდრ.: ად-გ-ე `ააგო`);

-**ერ**: ი-ქ<sup>1</sup>-თ-ერ `იპარავს` (ედ-ქ<sup>1</sup>-ით-ე `მოიპარა`);

-**ენ** (-ი): ა-კრ-ენ-ი `აღებს` (ად-კარ-ე `გააღო`);

-**ინ** (-ე): ი-ჟბ-ინ `იცლის` (ჟცნ-ჟებ `მოიცალა`);

-**ალ** (-ი): ი-თხ-ალ-ი `შოულობს` (ი-თხ-ე `იშოვა`);

-**ასგ** (-ი): ი-დ-ასგ-ი `იცვამს` (სგა ლა-დ-ე `ჩაიცვა უცებ`);

-**აშგ** (-ი): ხ-ო-ლ-აშგ-ი „ართმევს“ (ოთ-ლ-ე „წაართვა“) (ჯორბენაძე 1995: 374).

მიუთითებენ, რომ ამათგან **-ემ** თემის ნიშნის შესატყვისია **-ამ** (შდრ.: სვანური: ა-ბ-ემ, ი-ქ<sup>1</sup>-ემ... და სალიტერატურო ქართული: ა-ბ-ამ-ს, ი-ცვ-ამ-ს...). დანარჩენი თემის ნიშნები შეესაბამება იმ ზმნურ ფორმანტებს, რომელთაც სალიტერატურო ქართულში ამჟამად (და ზოგს კი ისტორიულადაც) თემის ნიშნის სტატუსი არა აქვს (იქვე).

სვანური ზმნის უღლების სისტემაში არა გვაქვს ისეთი დაპირისპირება I და II სერიის ფორმებს შორის თემის ნიშნების მიხედვით, როგორც დამახასიათებელია ქართული ზმნისათვის. ამავე დროს სვანურ ზმნას წყვეტილში ორი თემა აქვს: ერთი - I და II პირისათვის მხ. რიცხვში, მეორე - III პირისათვის მხ. რიცხვში და ყველა პირისათვის მრ. რიცხვში. ამგვარად, ფუძით ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა და ხუთი ფორმა, რის გამოც მათ ა. შანიძე შემოკლებით „ორთა თემას“ („ორთა ფუძეს“) და „ხუთთა ტემას“ („ხუთთა ფუძეს“) უწოდებს (შანიძე 1981: 354-355).

ზოგადად გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ცალკეული თემის ნიშნები სვანურში ქართულიდან არის შესული. ... ზმნური ფორმა ნასესხებია თემის ნიშნიანად და ის მთლიანად ფუძედ არის მიჩნეული“ (სვანური ენა 2007: 175).

„სვანურის სამსავე სერიაში და ყველა მწკრივში სრულად (უმლაუტით ან უუმლაუტოდ) ან რედუცირებული სახით წარმოდგენილია -აE (@E - E) სუფიქსი, რომელიც ქართული -ავ თემის ნიშნის შესატყვისია, მაგრამ ის სვანურში, ცხადია,

თემის ნიშნად არ აღიქმება და ზმნის ფუძისაგან მხოლოდ ქართულთან შეპირისპირებით გამოიყოფა. ამ მხრივ ყველა დიალექტში ერთნაირი სურათია” (იქვე: 178).

-აE სუფიქსი ყველა მწკრივში გაჰყვება შემდეგ ზმნებს: აბდა@Eი „ბედავს”, ასჰნჯ@Eი „სინჯავს”. აკუტრ@Eი „აკოტრებს”, არგ@Eი „არიგებს”, აკლ@Eი „ლეწავს”, აფჭ@Eი „აფუჭებს”, აჩრ@Eი „აჩერებს”, აშშ@Eი „აშეშებს”, აშნ@Eი „აშენებს”, აწხE@Eი „აწუხებს”... იწნ@Eი „იწუნებს”, იქრ@Eი „ქრება, იკარგება”, იჯრ@Eი „იჯერებს”... ზოგ ზმნაში -აE სუფიქსსა და -ი სუფიქსს შორის ჩართულია -Pლ სუფიქსი: ახზაEPლი „ხაზავს” აქჰრგაEPლი „ქარგავს”... (იქვე: 179).

-ემ შეიძლება თემის ნიშნად იქნეს მიჩნეული ლისგემ („წაქცევა”) ზმნაში, რომლის აწმყოსა და წყვეტილის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან -ემ სუფიქსის ქონება-უქონლობით: ხასგემ („იქცევა”) – ლახსგე („წაიქცა”), ხოსგემ („ემხოზა”) – ოხსგე („დაემხო”) (იქვე: 180).

შდრ.: -ებ (>-ბ) სუფიქსი სვანურში ფუძესთან არის შეხორცებული, ამიტომ მისი თემის ნიშნად კვალიფიკაცია შეუძლებელია: ხადკლებ („ნანობს”) – ათკ@ლბჰნ („ინანა, დაენანა”).

განხილული შემთხვევებიდან აშკარაა, რომ სვანურში თემის ნიშნების გავრცელების არეალი შეზღუდულია.

## თავი I

### I თურმეობითი სვანურ კილოებში

#### 1.1. I თურმეობითის წარმოება

I თურმეობითი (იგივე ნამყო სრული, I შედეგობითი) სვანურ კილოებში სხვა ქართველური კილოების მსგავსად იწარმოება. III სერიაში გარდამავალი ზმნების დრო-კილოთა ფორმები ინვერსიულია: სუბიექტი მიცემითშია, ობიექტი – სახელობითში. წყობა, ჩვეულებრივ, ობიექტურია. ინვერსიულია აგრეთვე გარდაუვალ ზმნათაგან გრძნობა-ქონების გამომხატველი ზმნები.

სალიტერატურო ქართულში გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი ეყრდნობა I და II სერიის ფუძეს. ასეა სვანურ კილოებშიც: არქაული ვითარების მსგავსად, უმთავრესად იყენებს II სერიის, კერძოდ, წყვეტილის ფუძეს. მაგალითად:

აწმყო: რაგდი „ამბობს“ – წყვეტილი: რაქე / რაქეე „თქვა“ – I თურმეობითი: ხოქეა „უთქვამს“.

ლენტეხურში II სერიის ფუძე ხშირია ძირმონაცვლე და ორფუძიან ზმნებში (ხოქეათა, ხოქეითა „მოუპარავს“, შდრ. აწმყო: იქეთერ, ნამყო წყვეტილი – დექეით. ლშხ. ედქეით-ე; ხნქეა „უთქვამს“, მაგრამ რდექე, რდექეე „თქვა“, შდრ. ხოგა, ლნტ. ხოგემა „უგია“, აწმყო: H/აგემ „აგებს“ (თოფურია 2008: 50).

იშვიათად სვანურ კილოებში I თურმეობითი აწმყოს ფუძესაც ეყრდნობა, მაგ.: ხაჰუდი „აძლევს“ – ხო-ჰედ-ა „მიუცია“, იგემ „იგებს“ – ხოგა (/ლნტ. ხოგემა) „უშენებია, აუგია“.

შდრ. თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში I თურმეობითი, ჩვეულებრივ, აწმყოსაგან იწარმოება (ხატავს – დაუხატავს), იშვიათად წყვეტილის ფუძესაც იყენებს (აქებს – აქო – უ-ქია).

სვანურ კილოებში I თურმეობითის მაწარმოებლად ყველა ტიპის (როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ) ზმნასთან ერთადერთი -ა სუფიქსი გვაქვს. ლაშხურსა და ჩოლურულში I თურმეობითის -ა გრძელი ვარიანტიცაა (-K) მოცემული. მაგალითად:

მიშთხრ-ა „მითხრია“, მიმჰრ-ა „მიმზადებია“, მისყ-ა „მიკეთებია“... ნიმუშად წარმოვადგენთ „ხატვა“ ზმნის პარადიგმას:

ობიექტური წყობა

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

მ-ი-ხტაE-ა „მიხატავს მე ის“      i გვ-ი-ხტაE-ა

e ნ-ი-ხტაE-ა

ჯ-ი-ხტაE-ა

ჯ-ი-ხტაE-ა-ხ

ხ-ო-ხტაE-ა

ხ-ო-ხტაE-ა-ხ

-ა სუფიქსი გვაქვს სუბიექტური წყობის ფორმებთანაც. მაგ.:

ხ-ო-ხტაE-ა "ვუხატავარ"      i ლო-ხტაE-ა-დ

e ხ-ო-ხტაE-ა-დ

ხ-ო-ხტაE-ა

ჯ-ი-ხტაE-ა-ხ

ხ-ო-ხტაE-ა

ხ-ო-ხტაE-ა-ხ

ზმნისწინის დართვა გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს. ი- პრეფიქსი (I და II პირში) ჩვეულებრივ ყველა დიალექტში იკუმშება: @-მიმერ-ა, ლშხ. ე-მიმერ-ა < \*ად-მიმერ-ა („დამიბერებია“) (მიმრ-ა < ლნტ. მიმერ-ა „მიბერებია“), @-ჯმერ-ა, ლშხ. ე-ჯმერ-ა < \*ად-ჯიმერ-ა (დაგიბერებია) (ჯიმრ-ა < ლნტ. ჯიმერ-ა ‘გიბერებია’) და სხვა, მაგ.:

ბქვ.: ჩე-მ-ხატE-ა

i ჩოგ-ხატE-ა „დამიხატავს“

e ჩენ-ხატE-ა

ჩე-ი-ხატE-ა

ჩე-ი-ხატE-ა-ხ

ჩოთ-ხატE-ა

ჩოთ-ხატE-ა-ხ

ბზ.: ჩე@-მ-ხატE-ა

i ჩოგ-ხატE-ა „დამიხატავს“

e ჩენ-ხატE-ა

ჩ@-ი-ხატE-ა

ჩ@-ი-ხატE-ა-ხ

ჩოთხატE-ა

ჩოთხატE-ა-ხ

ლნტ.: ჩეა-მ-ხატაE-ა

i ჩე-გE-ხატაE-ა „დამიხატავს“

ჩეა-ჯ-ხატაე-ა                      ჩეა-ჯ-ხატაე-ა-ხ  
 ჩეათ-ო-ხატაე-ა                    ჩეათ-ო-ხატაე-ა-ხ

„-ი- ლენტეხურში არ იკუმშება იმ შემთხვევაში, თუ თანხმოდანთა უჩვეულო კომპლექსს ექნება ადგილი და მათ დასაცილებლად -ჩ-ს საჭიროება დაიბადება: @-დ-ი-რმე „დაიჭირა”, @ნ-ი-რდე „გაზარდა თავისთვის”... (თოფურია 1967: 154)

ო- პრეფიქსი უმთავრესად დაცულია ლენტეხურში, სხვა კილოებში კი ჩვეულებრივ იკარგება. მაგალითად: ოთ-მეჩ-ა < ლნტ. ათ-ო-მეჩ-ა („დაუბერებია“), ხომჩ-ა < ლნტ. ხომეჩ-ა „უბერებია”...

ო- პრეფიქსი ლენტეხურს გარდა სხვა დიალექტებშიც შეიძლება იყოს ზოგჯერ დაცული ლექსებში, მაგ., ლშხ. ოხოთაა ( „უშობია“), ოხობიდა („მოუყვანია”)... აგრეთვე ხმოვნით დაწყებულ ზმნასთან ხან ცალკე (ლშხ. ოთნ-რა „დაუწერია“), ხან კიდევ თავკიდურ ხმოვანთან შერწყმითა და ბალსზემოურ-ლაშხურში გაგრძელებით: ლშხ. ჩოთნშაახ („დაუნთიათ“), ქნხნშა... (თოფურია 1967: 171).

ვ. თოფურიას აზრით, „-ო- ალბათ შეკუმშვამდე იმსგავსებდა პრევერბისეულ ა-, ე-ს: ლშხ. ოხოკაიშა (<\*ან-ხოკეიშა „გამოუჩეკია“), და სხვა. რედუქციის შედეგი -ე- ხანდახან შენახულია ან-, ლა-, ეს- პრევერბიან ზმნებში: ოხვბმდა (<ლნტ. ახობიდა „მოუყვანია“), ოხვკიპა ჟი („მოუქნევია“), ჟი ლოხვკმდა („აუღია“), ესვთნნა (>ესთნნა „უსწავლებია“), ესვკიპა: ესესიპა „გადაუქცევია“), და სხვა. მაშასადამე, ახობიდა (ლნტ. > ოხობიდა ლშხ.) > ახებმდა (ზხ.) > სვ. ოხვკმ/იდა), ან არადა: ახობიდა > ახებმდა > ოხბმ/იდა. უფრო პირველია მისაღები. ჩანს: -ე- კი არ არის წინ გადასული (ახე > აეხ) და აე დიფთონგი -ო-დ (ოხ-) ქცეული, როგორც ეს შეიძლებოდა ეფიქრა ვისმე, არამედ იგი წინდებულის ხმოვან-ელემენტის დამსგავსების შემდეგ `თავის ადგილასვე” ქრება” (თოფურია 1967: 172).

ქვემოსვანურ დიალექტებში (ლაშხურსა და ლენტეხურში), განსხვავებით ზემოსვანური კილოებისაგან, სუბიექტური წყობის ზმნები მხოლოდითი რიცხვის I და II პირის ფორმებში, ჩვეულებრივ, დაირთავენ მეშველ ზმნას: ხეი (ვარ) და ხი (ხარ). მაგალითად:

ლშხ.	ლნტ.
ხომკრ-კ-ხეი	ხომარ-ა-ხეი „ვემზადებივარ”
ხომკრ-კ-ხი	ხომარ-ა-ხი „უმზადებიხარ”
ხომკრ-კ	ხომარ-ა „უმზადებია”

უზმნისწინო ფორმა:

ხოდგარ-K-ხEი//ხოდგარ-ა „ვუკლავარ“

ხოდგარ-K-ხი//ხოდგარ-ა

ხოდგარ-ა

ზმნისწინიანი ფორმა:

ოთ-დაგრ-ა-ხEი//ოთ-დაგრ-ა „მოვუკლავარ“

ოთ-დაგრ-K-ხი//ოთ-დაგრ-ა

ოთ-დაგრ-ა

განხილული სუბიექტური წყობის ზმნები I-II პირში სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, როგორც წესი, მეშველი ზმნით არის წარმოდგენილი (მაგ.: დავუხატავარ, დაუხატავარ). არქაული ქართულისათვის უცხოა მეშველზმნიანი წარმოება. სვანური კილოები ამ შემთხვევაში საინტერესო სურათს გვიჩვენებს, კერძოდ, ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში, არქაული ვითარების შესაბამისად, გარდამავალ ზმნებს I თურმეობითში მეშველი ზმნა არ დაერთვის. ლაშხური და ლენტეხური კილოები, თანამედროვე სალიტერატურო ენის მსგავსად, I თურმეობითს მეშველი ზმნის დართვით აწარმოებენ: ხ-ო-ხტაE-ა-ხEი „დავუხატავარ“, ხ-ო-მKრ-ა-ხEი „ვუმზადებივარ“...

გარკვეული ტიპის ზმნათა ი გრძელდება (ოხEკMდა „აულია“, ოთკEMმა „გაუტეხია“).

მეშველი ზმნა გამოვლინდება ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითშიც. მეშველზმნიანი წარმოება მხოლოდ ლაშხური კილოსთვის არის დამახასიათებელი, სხვა დიალექტებში არ დასტურდება. მაგალითად, ხEეწდენი „ვენახვები“ I თურმეობითში შემდეგ პარადიგმას გვიჩვენებს:

ლშხ.	ზსვ.	ლნტ.
ხEაწდ-ა (/K-ხEი)	ხE-ღ-წდ-ა	ხE-ღ-წედ-ა „ვენახვივარ“
ხ-ა-წდ-ა (/K-ხი)	ხ-ღ-წდ-ა	ხ-ღ-წედ-ა „დანახვიხარ“
ხ-ა-წდ-ა	ქა ხ-ღ-წდ-ა	ქა ხ-ღ-წედ-ა „დანახვია“

შდრ. ზმნისწინიანი ფორმის უღლების ნიმუში:

ლოხ-ტეხ-K-ხEი    ლო{უ}-ტეხ-ა < ლახE-ა-ტეხ-ა {ხEი} „მოვზრუნებივარ“

ლახ-ტეხ-K-ხი    ლახ-ტეხ-ა < ლახ-ა-ტეხ-ა {ხი}

ლახ-ტეხ-K      ლახ-ტეხ-ა < ლახ-ა-ტეხ-ა

ჩვეულებრივ, გვაქვს ობიექტური წყობის ფორმებიც:

ამ-ბედ-ა < ლნტ. ამ-ა-ბედ-ა „მოსვლია”

აჯ-ბედ-ა < ლნტ. აჯ-ა-ბედ-ა „მოგვლია”

ახ-ბედ-ა < ლნტ. ახ-ა-ბედ-ა „მოსვლია”.

ათ-სედ-ა < ლნტ. ათ-ა-სედ-ა „დარჩენია”, ლახ-სედ-ა < ლნტ. ლახ-ა-სედ-ა „შერჩენია”...

უზმნისწინო ფორმებში ფუძისეული -ე- (ლენტეხურის მსგავსად) ხშირად დადებული ლექსებში: ცოდა გვიშვე ნოვ ხაშდება „ცოდვა ჩვენი ნუმცა დალევია”, ქა ხაგვეწა (ლნტ. ქა ხმგეეწა) „გაძვრომია”, ხაჩედა (ლნტ. ხმჩედა > ზსვ. ხმჩადა) „წასვლია, გაქცევია”, ლშხ. მასედა „მრჩენია”...

უმგულურში -ე- ყველგან -მ-დ ქცეულა: ნომ ხაშდმხა (ლექსიდან), ხაჩმჷა (ხაჩაშა < ლნტ. ხმჩემჷა „გაუსწრია”), ლახშმედა (ლახშადა < ლნტ. ლახაშედა „შეწევია”, ათგეჷა (<ათგეჷა < ლნტ. ათაგეჷა) „გაძლებია”... (თოფურია 1967: 203).

ა- პრეფიქსიან გარდაუვალ და აწმყოს სტატიკურ ფორმებს -ა ბოლოსართის წინ ხშირად ჩაერთვის -**ლნ** (ზზ., ლშხ., ჩლრ.) და -**ენ** (ბქვ., ლნტ.) ელემენტები (ხახლ-**ლნ/ენ**-ა, ლნტ. ხახალ-ა „სცოდნია”, ხმ/ამთქე-**ლნ/ენ**-ა „სჩვევია”). მაგალითად:

ლშხ.    მ-ა-სგერ-ლნ-ა „მჯდომია"      მ-ა-ცერ-ლნ-ა „დამრჩენია"

ჯ-ა-სგერ-ლნ-ა                              ჯ-ა-ცერ-ლნ-ა

